ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2016 №252 (7178) ფასი: 50 თეთრი

დემოკრატიული მოძრაობა აჭარის უმაღლეს საბჭოში მეორე მანდატს ითხოვს

გვ.5

ნაციონალები სანდრას წინააღმდეგ

გვ.2

სანდრა რულოვსი მეორე ტურში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

„სანდრას გადაწყვეტილება მიუღებელია“

სალომე ზურაბიშვილი:

„არც სანდრა, არც მიშა – მეგრელების მიშისტობის მითი დასრულდა“

„მეორე ტურში, მარნეულისა და ახალციხის გარდა, ყველგან „ოცნება“ გაიმარჯვებს“

თორნიკე შარაშენიძე:

„აუტსაიდერ პარტიებს რაც მოუვიდათ, საკუთარ თავს დააბრალონ“

გვ.3

ირაკლი შიოლაშვილმა სიღნაღის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებთან ერთად იქეიფა

ნაციონალები კომისიის ხელმძღვანელების დასჯას ითხოვენ

გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „საარჩევნო ბარიერის 1%-მდე დაწევა არასერიოზულია“

„ჩვენნაირი ქვეყნისთვის საპრეზიდენტო რესპუბლიკა უფრო მისაღებია“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „ახალ პარლამენტში შეთქმულება გამორიცხულია“

„სააკაშვილი ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს“

გვ.4

ISSN 1987-9385

აქცია თურქეთის საელჩოსთან

გვ.5

ნაციონალები სანდრას წინააღმდეგ

სანდრა რულოვსი მეორე ტურში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

სანდრა რულოვსი საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.

ამის შესახებ ყოფილმა პირველმა ლედიმ და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის მეორე ნომერმა ტელეკომპანია ოდიშს განუცხადა.

– მე ვთვლი, რომ არ უნდა მივიღო მონაწილეობა მეორე ტურში. ჯერ ერთი, მთელ ზუგდიდში ძალიან ცუდი – ქურდული, კრიმინალური და წნეხის პირობებია შექმნილი და არ მინდა, ამ ხალხს კიდევ პრობლემები ჰქონდეს, შეურაცხყოფა მიაყენონ, დასცინონ.

მე ვიცი, რომ გამარჯვებული ვარ და, აქედან გამომდინარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს პარლამენტიდან ან თუნდაც სხვა ადგილიდან დავუდგები გვერდში – ეს ჩემი ვალდებულებაა, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

მისი თქმით, ეს გაყალბება არამარტო ზუგდიდში, არამედ მთელ საქართველოში იყო.

– მე მიკვირს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება (გამონაკლისის გარდა), მიუხედავად იმისა, რომ უფრო და უფრო ვრცელდება ვიდეომასალები, სადაც კარგად ჩანს დარღვევების ფაქტები – გამქრალი ბიულეტენები, ერთი და იგივე ხალხი უბანში, ფოტოების გადაღება და ა.შ. ეს არის გაყალბება, რომელსაც მასშტაბებს ვერ დაუდებ, ეს იყო ყველგან, – აღნიშნა რულოვსმა.

მან თქვა, რომ უნდა გააგრძელოს მუშაობა და მოიქცეს, როგორც გამარჯვებული და ასეც იქნება ზუგდიდის რაიონშიც, ზოგადად პოლიტიკაშიც და მის მომავალ ქმედებებშიც.

– ჩემი გამარჯვება პირველ ტურში იყო პირადი მარცხი ივანიშვილისთვის, არაფორმალური მმართველისთვის, ვინც 8 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა, რომ „ის ქალბატონიც კი ვერ გაიმარჯვებს ზუგდიდში“. და ეს მიიღეს, როგორც ბრძანება და ეს ბრძანება ყველანაირად უნდა შესრულებულიყო. ეს ყოვლად მიუღებელია ჩემთვის, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

◆ ◆ ◆

ცნობისთვის, სამივე საარჩევნო უბნის განმეორებითი კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების გათვალისწინებით წინასწარი მონაცემების მიხედვით, 66-ე ზუგდიდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საუკეთესო შედეგის მქონე შემდეგი 2 კანდიდატია:

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ედიშერ თოლორაიამ ამომრჩეველთა ხმების 48.63% მიიღო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატმა სანდრა რულოვსმა კი – 44.8%.

განმეორებითი კენჭისყრის წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

„სანდრას გადაწყვეტილება მიუღებელია“

სანდრა რულოვსის გუშინდელ გადაწყვეტილებას გუშინვე გამოეხმაურნენ ნაციონალურ მოძრაობაში.

პარტიის ლიდერები ადასტურებენ, რომ მისი გადაწყვეტილება არ იყო შეთანხმებული პარტიასთან.

სერგო რატიანის თქმით, მეორე ტურების წინ რულოვსის გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, დამაზიანებელია.

– საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ მეორე ტურებში, რათა ივანიშვილს არ ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ჩვენ ვიცოდით, რომ იქნებოდა დაშინება, თუმცა იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ამომრჩევლის დაცვა მნიშვნელოვანია. ჩვენ ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ მარნეულში.

ქალბატონი სანდრას გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, მეორე ტურის წინ არის სამწუხარო და, გარკვეულწილად, დამაზიანებელი. ზუგდიდის რეგიონია, სადაც გვაქვს და გვქონდა გამარჯვების მაღალი ალბათობა. მესმის, რომ ემოციურად მისთვის ძნელი იყო, რაც მოხდა ზუგდიდში, თუმცა მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ძალების კონცენტრირება, – განაცხადა სერგო რატიანმა.

მიუღებელს უწოდებს სანდრა რულოვსის გადაწყვეტილებას გივი თარგამაძეც და ამბობს, რომ ამომრჩევლის დაცვა მასთან ბრძოლაში ყოფნაა და არა – განზე გადგომა. მისი თქმით, მეორე ტურებში მონაწილეობაზე პარტიის პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო რულოვსის ნაბიჯი პარტიასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

– პარტიამ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, ამდენად, ქალბატონი სანდრას გადაწყვეტილება მიუღებელია და აზიანებს მეორე ტურების კამპანიას.

ბუნებრივია, პარტია ახდენს ძალისხმევის გონივრულ დიფერენცირებას, მაგრამ ის, რომ ბრძოლას აქვს აზრი, დაადასტურა მარნეულის ამომრჩეველმა. ამომრჩევლის დაცვა არის მასთან

ერთად ბრძოლაში ყოფნა. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველგან, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

სანდრა რულოვსის გადაწყვეტილებას ზუგდიდიდან გამოეხმაურა ნიკა მელია.

როგორც მან აღნიშნა, სანდრა რულოვსს არ უნდა ეთქვა უარი თუნდაც უთანასწორო ბრძოლაში მონაწილეობაზე, რადგან ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ოლიგარქი ივანიშვილი მმართველობას ჩამოაცილონ.

მელია რულოვსის გადაწყვეტილებას არასწორს უწოდებს და ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები აგრძელებენ ბრძოლას მეორე ტურებში, მათ შორის ქალაქ ზუგდიდში კონჯარია და გამგებლის კანდიდატი ბესიკ გაბუნია.

ნიუპოსტი

ოთარ კახიძე: „ვიბრძოლებთ, რომ ივანიშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გაიფორმოს“

– ჩვენ ვიბრძოლებთ მეორე ტურებში, რომ ბიძინა ივანიშვილმა არ გაიფორმოს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ კახიძემ გააკეთა.

კახიძე სამეგრელოში განმეორებითი კენჭისყრის შედეგებს გამოეხმაურა.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერები დამდგარ შედეგს დაშინებას და ზეწოლას უკავშირებენ, თუმცა ამბობენ, რომ, მომხდარის მიუხედავად მოსახლეობა მაინც მივიდა საარჩევნო უბნებზე და საკუთარი არჩევანი დაფიქსირეს.

– ხელისუფლებამ დაარბია უბნები, რომელშიც არჩევნები მან წააგო. დარბევის შემდგომ მან დააკავა ამ სოფლის წარმომადგენელი და დააშანტაჟა შემდგომ ამ სოფლის მცხოვრებლები, რომ თუ ხმას არ მისცემდნენ „ქართულ ოცნებას“, ეს ადამიანი დარჩებოდა პატიმრობაში, რის შედეგად, მათ ამ უბნებზე მოიგეს არჩევნები, თუმცა ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი პირველ ტურში გამარჯვებისთვის და ჩვენ ვიბრძოლებთ მეორე ტურებში, რომ ბიძინა ივანიშვილმა არ გაიფორმოს საკონსტიტუციო უმრავლესობა, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

პირველი რადიო

სალომე ზურაბიშვილი: „არც სანდრა, არც მიშა – მეგრელების მიშისტობის მითი დასრულდა“

მთაწმინდაზე დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის წინასწარ მონაცემებს ეხმაურება.

– ვულოცავ სამეგრელოს ღირსეულ არჩევანს.... არც სანდრა არც მიშა... ამით სრულდება კიდევ ერთი მითი – მეგრელების „მიშისტობის“! – წერს ზურაბიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მამუკა გვაძაბია: „არ შეიძლება, დიდი მომღერალი პოლიტიკოსი გახდეს“

გულიკო ბალაძე

„ნაციონალები იმას უნდა გაუფრთხილდნენ, რაც აქვთ“

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ნაცმოძრაობამ დასავლური ღირებულებების დევალვაცია მოახდინა.

– ბატონო მამუკა, მოელოდით თუ არა, რომ ის პარტია, რომლის დამფუძნებელი თქვენც იყავით და დატოვეთ, არჩევნებში ბარიერს ვერ გადალახავდა?

– სამწუხაროდ, მე არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დავტოვე პარტია „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ და, შესაბამისად, ბლოკი „ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“.

– ლიდერებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ.

– იმედი ერთია, მაგრამ რეალობა და მოცემულობა სხვა იყო.

– რა მოცემულობა იყო?

– როგორც პარტიაში, ისე ბლოკში აბსოლუტურად დაბალ დონეზე იდგა პოლიტიკური მენეჯმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა საარჩევნო ბარიერის გადალახვას, განსაკუთრებით, იმ პარტიაში, რომლის დამფუძნებელიც მე ვიყავი.

– რატომ?

– პარტიაში ორიენტირებული იყვნენ (განსაკუთრებით ლიდერები) არა შედეგზე, არამედ პროცესზე.

– ლიდერები?

– ვაშაძეზე ვამბობ. განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა პარტიის დაფუძნებიდანვე. ისინი ორიენტირებული იყვნენ არა შედეგზე, არამედ პროცესზე. ბლოკში გაერთიანების შემდეგ დიდმა მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკას ალღო ვერ აუღო. ძალიან მიყვარდა პაატა ბურჭულაძის შესრულებული საოპერო არიები (რითაც თვითონაც ამაყობდა), მაგრამ პოლიტიკური არიები მისი შესრულებით არ მინახავს.

არ შეიძლება, დიდი მომღერალი პოლიტიკოსი გახდეს. პაატა ბურჭულაძეს არანაირი პოლიტიკური უნარ-ჩვევები არ აღმოაჩნდა. ეს გადაედო მთელ ბლოკს.

– ფიქრობთ, რომ ბურჭულაძის პარტიასთან ბლოკის შექმნით დაკარგა ხმები პარტია „სამოქალაქო პლატფორმა – ახალმა საქართველომ“?

– ბლოკის შექმნით, ვინაიდან ამ ბლოკმა და მასში შემავალმა პარტიებმა ბარიერი ვერ გადალახეს. როგორც თვითონ ამბობდნენ, გარკვეული რაოდენობის ევროატლანტიკური ორიენტაციის ამომრჩევლის ხმები დაიკარგა. ეს არის ყველაზე სამწუხარო.

– თუმცა, მომისმენია განცხადებები, რომ სწორედ ბურჭულაძემ დაკარგა ხმები ვაშაძის პარტიასთან ბლოკის შექმნით.

– გარკვეულწილად, პოლიტოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება, ზიარჭურჭლის პროცესი. ერთ პარტიას აქვს მაღალი რეიტინგი, მეორეს – დაბალი. გაერთიანების შემთხვევაში ისინი უთანაბრდებიან ერთმანეთს. ბლოკის შექმნამ იმოქმედა, რა თქმა უნდა.

– ვის საზიანოდ?

– ძირითადად საქართველოს საზიანოდ, რადგან დიდი ოდენობით ევროატლანტიკური ორიენტაციის ხმები დაიკარგა.

პარტიამ გეზი აიღო არა შედეგზე, არამედ პოლიტიკურ პროცესზე. ამიტომ ბევრია იმედგაცრუებული ელექტორატი. შეიძლება, შემდეგ არჩევნებში უფრო ნაკლები ხმა მიიღოს.

– მაშინ რა გეგმები ჰქონდა ვაშაძის პარტიას?

– იცოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა. პრაიმერი პრაგმატული მოსაზრებით კი არ ტარდებოდა კანდიდატურების შესარჩევად, არამედ რეალურად არ ჩატარებულა.

– თქვენმა წამოსვლამ ავნო პარტიას?

– ჩემმა წამოსვლამ განსაკუთრებით დევნილების ელექტორატი დააძინა. მათ ხმა არავინ მისცა. რამდენიმე ადამიანმა დამირეკა, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიიდან (ორი კაცი აქაც ჩამოვიდა სიტუაციის გასაგებად), მეკითხებოდნენ, მართალია, რომ ნაციონალებს უჭერთ მხარსო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მეორე ტურში, მარნეულისა და ახალციხის გარდა, ყველგან „ოცნება“ გაიმარჯვებს“

თორნიკე შარაშენიძე: „აუტსაიდერ პარტიებს რაც მოუვიდათ, საკუთარ თავს დააბრალონ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ზუგდიდსა და მარნეულის რაიონში განმეორებითი კენჭისყრა გაიმართა. ზუგდიდში „ოცნების“ კანდიდატი ლიდერობს, ხოლო მარნეულში – ნაციონალების. მეორე ტური ორივე რაიონში საჭიროა. რას ელოდებით მეორე ტურში და რამდენად ჯანსაღი პროცესები მიმდინარეობს?

– არცთუ ისე ჯანსაღი პროცესებია, სამწუხაროდ. ადგილი აქვს საარჩევნო ხმებისთვის ლამის ხელჩართულ ბრძოლას. ეს აჩვენებს იმას, რომ ბოლო წლების განმავლობაში მაინცდამაინც წინ ვერ წავიწიეთ. ნორმალურად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, ნორმალურად ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, თუმცა ახლა სხვა ვითარებაა.

– ამას რით ხსნით?

– იმით, რომ ის არჩევნები მაინცდამაინც არ იყო დიდი ინტერესის საგანი. იქ თავიდანვე გასაგები იყო, რომ იმარჯვებდა „ოცნება“, საზოგადოებაში ეიფორია იყო, ამ არჩევნებში კი „ოცნების“ შანსებმა საგრძნობლად იკლო. ამიტომაც ადგილი ჰქონდა ამ გადაცდომებს, რაც ძალიან სამწუხაროა. „ოცნებას“ შეეძლო, გაცილებით უკეთესად ჩაეტარებინა არჩევნები და მაინც მოეგო.

– ვრცელდება ინფორმაციები, რომ გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილს გაურიგდა და „ოცნებამ“ მარნეული დათმო. რამდენად რეალურად თვლით ამ ინფორმაციას?

– მე ეგეთი ზღაპრების არ მჯერა. ნამდვილად არ მჯერა ბოკერიასა და ივანიშვილის გარიგების. მარნეული, წესით, უნდა მოიგონ ნაციონალებმა. რაც შეეხება განმუხურს, იქ ასე მარტივად არ არის საქმე. „ოცნებისთვის“ და პირადად ბიძინა ივანიშვილისთვის პრინციპის საქმეა, რომ ზუგდიდში სანდრამ არ გაიმარჯვოს. სანდრამაც დაკარგა მოტივაცია პირველი ტურის შემდეგ. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ზუგდიდში სანდრამ წააგოს არჩევნები.

– ელოდებით, რომ მეორე ტურში დიდი უპირატესობით „ოცნება“ გაიმარჯვებს?

– ალბათ, მარნეულისა და ახალციხის გარდა, ყველგან „ოცნება“ გაიმარჯვებს. ეს თავად „ოცნებისთვის“ მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ, რას ვიზამთ, ამის მიხვედრას უფრო მეტი ჭკუა უნდა, ვიდრე მათ აქვთ.

– რატომ არ არის კარგი? სულ მიდის დავა ამ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე.

– როცა ხელში გივარდება აბსოლუტური ძალაუფლება, ვერ გაკონტროლებს ვერავინ, ყველა ვარიანტში დიდ სისულელეს ჩაიდენ. ამერიკის პრეზიდენტს არ ექნება იმდენი ძალაუფლება, რამდენიც „ოცნებას“ – არჩევნების შემდეგ. ყველაფერი „ოცნების“ ხელში აღმოჩნდება და ეს მათთვისვე ძალიან სახიფათოა.

– საკონსტიტუციო ცვლილებებზე დაიწყო საუბარი, სამუშაო ჯგუფის შექმნა მოითხოვა პრემიერ-მინისტრმა. ბევრი ცვლილება შევა კონსტიტუციაში?

– არ ვიცი, მათთვის რა არის პრიორიტეტი. თუ მათთვის მთავარია, გააუქმონ საპრეზიდენტო არჩევნები და პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი, თუ ამაზეა მიბმული ყველაფერი, წესით, ბევრი არ შევა. მხოლოდ ამის გარშემო იტრიალებს ცვლილებები და განსაკუთრებული არაფერი მოხდება.

– ჩვენ სხვანაირად ვერ შევძლებთ დანაპირების შესრულებასო, აცხადებენ ხელისუფლებაში. ამაზე რას იტყვით?

– აქამდე ვინ უშლიდათ ხელს დანაპირების შესრულებაში?! რატომ არ შეასრულეს ის, რასაც ოთხი წლის წინ დაჰპირდნენ ამომრჩეველს?!

– ნაციონალებიო, როგორც ყოველთვის...

– ვინმეს სჯერა ამის?! როცა პარლამენტში უმრავლესობა გაქვს, ადგილობრივი მთავრობაც შენია, ხელს რა გიშლის?! თუ კიდევ მომავალი ოთხი წელი აპირებენ, რომ ყველაფერი ნაციონალებს დააბრალონ, ეგრე არ არის! ეს აღარ გამოუვათ. ეს აღარ იმუშავებს. ხომ ნახეთ, ნაწილობრივ აღარც ამ არჩევნებზე იმუშავა.

ეს არჩევნები, პრინციპში, მოიგეს იმის წყალობით, რომ ნაციონალები ჯერ კიდევ ბევრს არ უნდა, მათი ერთადერთი ალტერნატივა ეს იყო და კიდევ ის, რომ ადმინისტრაციული რესურსი მუშაობს კარგად. შემდეგი ოთხი წელი ეს აღარ იმუშავებს, არიქა, ნაციონალები არ დაბრუნდნენო. მობეზრდა ხალხს ეს ყველაფერი.

– შემდეგი ოთხი წელი საზოგადოებას მაინც ნაციონალებისა და „ოცნების“ ყურება მოუწევს. არასაპარლამენტო ოპოზიცია საგრძნობლად შესუსტდა. რა მოხდა, შუა რეალურად გაიკრიფა?

– ეს ოპოზიციამ თავის თავს უნდა დააბრალოს. ყველას ჰქონდა პრეტენზია, რომ ცალკე გავიდოდა პარლამენტში, ბურჭულაძის პარტიას, ალასანიას პარტიას, რატომღაც რესპუბლიკელებსაც, რომლებსაც არასდროს 2%-ზე მეტი არ ჰქონიათ რეიტინგი. ეს პროცესი გარდაუვალი იყო. რატომ არ გაერთიანდნენ?!

პირდაპირ რომ ვთქვათ, კომიკური სიტუაციაა ის, რაც შეიქმნა ალასანიას პარტიაში. პარტია, ფაქტობრივად, დაიშალა ერთი წაგების შემდეგ. ყველამ თავის თავს უნდა დააბრალოს და არ უნდა დააბრალონ ივანიშვილს. რა თქმა უნდა, ივანიშვილის ინტერესში იყო, წარმოეჩინა, რომ მათი ერთადერთი ალტერნატივა იყო ცოცხებში და წარმოაჩინა საკმაოდ წარმატებით! ეს პარტიები ხომ კარგად იცნობდნენ ივანიშვილს, ხომ იცოდნენ, რა სიტუაციაც შეიქმნებოდა, ყველაფერი მიდიოდა ორპოლუსიანი სისტემისკენ. ამ პარტიებმა ყველაფერი თავის თავს უნდა დააბრალონ.

– კულუარებში ვრცელდება ინფორმაციები, რომ ნაციონალებსა და აღნიშნულ პარტიებს შორის გარიგება მიდის, რომ მათმა ამომრჩეველმა მეორე ტურში ნაციონალებს დაუჭირონ მხარი. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ყოველივე ეს?

– ამ პარტიების მხარდაჭერა, არა მგონია, ნაციონალებს რამეში წაადგეთ. ამ პარტიებს რეიტინგიც არ აქვთ და არც მომხრეების მობილიზების თავი აქვთ. ალასანიას პარტიამ რა მომხრეების მობილიზება უნდა მოახდინოს, მარტივ მამრავლებად დაიშალა. საინტერესოა, ხიდაშელის აგიტაცია რამდენ ხმას მოუტანს ნაციონალებს, რომ ამბობს, მხარს არ დავუჭერო. თვითონ რამდენი ხმა აიღო?! ეს ყველაფერი კომიკურია.

ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, შედგა ორი პარტია – ნაციონალები და „ოცნება“, თუმცა „ოცნება“ დგას ერთ კაცზე. ის ერთი კაცი რომ არ იყოს, არ ვიცი, მათ რა დაემართებოდათ. ამ ეტაპზე ის ერთი კაცის პარტიაა.

როცა ხელში გივარდება აბსოლუტური ძალაუფლება, ვერ გაკონტროლებს ვერავინ, ყველა ვარიანტში დიდ სისულელეს ჩაიდენ. ამერიკის პრეზიდენტს არ ექნება იმდენი ძალაუფლება, რამდენიც „ოცნებას“ არჩევნების შემდეგ. ყველაფერი „ოცნების“ ხელში აღმოჩნდება და ეს მათთვისვე ძალიან სახიფათოა

– კვირის ბოლოს კვლავ არჩევნებია. რამდენად ელით სიტუაციის დაძაბვას?

– აღარ ველი. „ოცნება“ ხვდება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. მას სიტუაციის დაძაბვა სჭირდებოდა პირველ ტურში, რათა პროპორციულში ეჩვენებინათ მაღალი შედეგი. მეორე ტურში ყველა ვარიანტში მოიგებენ. როცა პროპორციულს იგებ, ავტომატურად მაჟორიტარების 90%-ს ავტომატურად იგებ. იმედია, ეყოფათ ტვინი და მეორე ტურს მშვიდად ჩაატარებენ, რომ სალაპარაკო არავის მისცენ. ჩვენ ვნახეთ ენდიაის განცხადება, ასეთი რამ აღარ გაიმეოროთო.

– ხომ გვილოცავენ არჩევნების წარმატებით ჩატარებას?

– თუ დააკვირდებით, არავის უთქვამს, რომ არჩევნები ჩატარდა სამართლიანად, გამჭვირვალედ და ასე შემდეგ. ამერიკის ელჩმა გააკეთა ყველაზე ამომწურავი განცხადება, რომ არჩევნებმა ასახა ქართველი ამომრჩევლის ნება ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა გაემარჯვა „ოცნებას“. მას არ უთქვამს, რომ არჩევნები ჩატარდა სამაგალითოდ და სამართლიანად.

– მაშინ, რას გვილოცავენ, რატომ ამბობენ, რომ დემოკრატიული იყო?

– როცა რეგიონში დემოკრატია კატასტროფული ნაბიჯებით მიდის უკან, საქართველო მაინც რჩება, ასე თუ ისე, დემოკრატიულ ქვეყანად. ამიტომ საქართველოს მოფრთხილება სჭირდება. ახლა არ იყო იმის დრო, რომ ჩვენთვის სიმართლე ეთქვათ. თავი შეიკავეს.

მანანა კობახიძე: „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს“

– ძალიან რეალური გახდა, რომ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. არჩევნებმა ყოველგვარი ექსცესებისა და დაძაბულობის გარეშე ჩაიარა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა კობახიძემ ზუგდიდსა და მარნეულში ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის საკითხზე კომენტირებისას განუცხადა.

– ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო და ყველაფერს ვაკეთებთ უკეთესი მომავლის სასარგებლოდ. შედეგებით კმაყოფილი ვართ. მოსახლეობის მხარდაჭერა იყო

ადეკვატური და ეს ყველაფერი აისახა კიდეც შესაბამის ხმათა რაოდენობაში, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისივე თქმით, ეს არის წინაპირობა იმისა, რომ 30 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს. რაც შეეხება იმას, რომ მარნეულის №48 უბანზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გაიმარჯვა, როგორც კობახიძემ აღნიშნა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანზეა საუბარი და ერთი უბანი გადამწყვეტი არ იქნება.

დეპუტატის თქმით, ხელისუფლება ეწევა ქვეყნის კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისთვის სამუშაოს და ეს ამომრჩეველმა კარგად დაინახა.

მისივე განცხადებით, ქართველი ხალხი თავის თავზე იგრძნობს ყველა სიკეთეს, რომელსაც „ქართული ოცნება“ ქვეყანას მოუტანს.

სოზარ სუბარი: „ქვასროლია პარტიას ქვების სროლის საშუალება არ მივეცით“

– ქვასროლია პარტიას ქვების სროლის არანაირი საშუალება არ მივეცით.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა.

სუბარი მარნეულში, 48-ე საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა.

მისივე თქმით, მარნეულში, ყიზილაჯლოს საარჩევნო უბანზე იყო ამომრჩევლის უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობა და სიმშვიდე. მან მადლობა გადაუხადა სამართალდამცველებს, რომლებიც უბანზე დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ და წესრიგს იცავდნენ.

– შესაბამისად, იმ ქვასროლია პარტიას, რომელმაც ორი კვირის წინ ზუსტად ამ უბანზე ქვის სროლით პროცესი ჩაშალა და თავს დაესხნენ პოლიციელებს, არ დასცალდათ თავისი ამ სტილის განხორციელება.

ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომელმაც 2003 წელს ქვების სროლით დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანია სწორედ ამ რეგიონში – ბოლნისში. სწორედ ქვების სროლით გააგრძელა საარჩევნო კამპანია 2012 წელს – გორში, კარალეთში და, მე მგონი, ქვების სროლით დაასრულა თავისი კარიერა ორი კვირის წინ მარნეულში, – განაცხადა სო-

ზარ სუბარმა და დასძინა, რომ ქვასროლია პარტიას ქვების სროლის საშუალება არ მისცეს.

ინტერპრესნიუსი

გიგი წერეთელი: „ჩემს აქტივისტებს ემუქრებიან ან რაღაცებს სთავაზობენ“

ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ პირველი ტურის შემდეგ სხვადასხვა წრის ხალხი მის აქტივისტებზე ზეწოლას ახდენენ, ასევე ხდება მათთვის სხვადასხვა შეთავაზებაც.

როგორც წერეთელმა „აიპრესს“ განუცხადა, ამის მიუხედავად, მისი აქტივისტები არაფერს უშინდებიან და ბრძოლას აგრძელებენ.

– მე მეორე ტურისთვის ვიბრძვი ქუთაისში, სადაც საკმაოდ დიდი შანსი მაქვს გამარჯვების, მაგრამ პირველი ტურის შემდეგ ჩემი აქტივისტი არ დარჩენილა, იქნება ეს აქტიური თუ ნაკლებად აქტიური, სადაც მასთან არ მივიდნენ სხვადასხვა წრის წარმომადგენლები და ხან რას ემუქრებიან, ხან რას სთავაზობენ. ეს პროცესი გრძელდება ახლაც, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

მან არ იცის, ვინ ვინ არის, მაგრამ ვარაუდობს, რომ ალბათ სუსიც იქნებოდა.

– ზოგადად სუსი ბევრ რამეს ხელმძღვანელობს. მაგრამ ვისთანაც მიდიან ეს ხალხი, ამას ამბობს. ზოგი ამას ხმამაღლა აცხადებს, ზოგი ჩვენ გვეუბნება. ბევრი ადამიანი მათ იმ პასუხს ეუბნება, რაც მათთვის მისაღები არ არის. ჩვენი აქტივისტები არ უშინდებიან არაფერს, იმიტომ, რომ მათთვის ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია, – აღნიშნა ნაციონალმა დეპუტატობის კანდიდატმა.

მისი თქმით, მუშაობს ფინანსური მოტივაციაც.

– ჩვენ ქუთაისის მერიიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია, რაში დაიხარჯა სარეზერვო ფონდებიდან თანხები ინდივიდუალური დახმარების სახით. საკმაო დრო გავიდა უკვე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პასუხი ჯერ არ მიგვიღია, თუმცა ამ წუთას ბოლომდე დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

მან აღნიშნა, რომ არჩევნების შემდეგ ფასებმა მოიმატა, შედეგად ცხოვრება გაძვირდა.

– ნიშანდობლივია ისიც, რომ არჩევნების მეორე დღიდან ქუთაისში ცხოვრება კიდევ გაძვირდა. ჩემ გვერდით მაღაზიაში შაქარი ღირდა 1.8 ლარი, ხოლო ახლა 2.50 ლარი ღირს, ცოტა-

თი გაძვირდა საწვავი, ასევე სხვა პროდუქტიც.

ათასობით ადამიანს შევხვდი და ვიცი მათი განწყობა, ამიტომ მე ბოლომდე ვიბრძოლებ გამარჯვებისთვის იმის მიუხედავად, რომ პარტიული სიით პარლამენტში ვხვდები, – აღნიშნა წერეთელმა.

აიპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მირიან მირიანაშვილი: „ახალ პარლამენტში შეთქმულება გამორიცხულია“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველია.

მირიან მირიანაშვილი:

– საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომლის მოპოვების რეალური შანსიც „ქართულ ოცნებას“ აქვს, არა მარტო კონსტიტუციის შეცვლას სჭირდება. ეს იქნება იმის გარანტი, რომ პარლამენტში ვეღარ მოხდება შეთქმულება და საპარლამენტო გადატრიალება. ამგვარი პროცესები დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო მოქმედ პარლამენტში. ამას ხელს უწყობდა პოლიტიკური ძალების განლაგება.

– ეს საკითხი ცოტა ხნის წინ ნაციონალმა გიორგი ბარამიძემაც ახსენა.

– გიორგი ბარამიძეს ტყუილი არ უთქვამს. ნაციონალური მოძრაობა მართლაც ცდილობდა საპარლამენტო გადატრიალებას, ახალი უმრავლესობის შექმნასა და „ქართული ოცნების“ უმცირესობაში დატოვებას. ნაციონალებთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი და რესპუბლიკელები. გარიგებებში ჩართული იყო გიგა ბოკერია.

საქმე თითქმის გაჩარხული იყო. აკლდებოდათ დაახლოებით 5 დეპუტატი. ამის შესახებ სააკაშვილი ამბობდა, რომ დანაკლისს „ოცნებიდან“ შეავსებდა. რამდენიმე კაცი გადმობირებული ჰყავდათ. მათი ლუსტრირება მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. ფინალამდე ვეღარ მივიდნენ, იმიტომ, რომ ყველა რესპუბლიკელი ვერ დაითანხმეს. იმ ორ თუ სამ რესპუბლიკელში, რომლებმაც შეთქმულებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს, იყო დავით უსუფაშვილი. მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ცდილობდა თავის ორბიტაზე ძალების შენარჩუნებასა და საპარლამენტო უმრავლესობის არდაშლას, აქტიური შეტევები დაიწყო რესპუბლიკურ პარტიაზე.

– რომელი შეტევები გაქვთ მხედველობაში?

– პატრიოტთა ალიანსის გამოსვლები. ალიანსის ლიდერები რესპუბლიკურ პარტიას ყოველთვის ებრძოდნენ, მაგრამ ამის ლეგალური მიზეზი მათ საგარეჯოს შუალედური წაგებული არჩევნების შემდეგ გაუჩნდათ. მათ ამ არჩევნების გაყალბებაში რესპუბლიკური პარტია დაადანაშაულეს. იმ დროს, როცა რამდენიმე რესპუბლიკელი ეწინააღმდეგებოდა შეთქმულებას პარლამენტში, გაიხსნა ახალი ფრონტი რესპუბლიკელების, საბოლოოდ კი ივანიშვილის წინააღმდეგ.

– პატრიოტთა ალიანსი ამაში უნებლიეთ ჩაერთო?

– არ ვიცი, ეს პოლიტიკური დაკვეთა იყო თუ უმწიფრობა. საინტერესო ისაა, რომ პატრიოტთა ალიანსის მაშინდელი შეტევების ხელშემწყობად სახელდებოდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ორიოდე თვეში მას ბიძინა ივანიშვილმა თანამდებობა დაატოვებინა.

„სააკაშვილი ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს“

– ამით რისი თქმა გინდათ?

– ჩემი ვარაუდით, ირაკლი ღარიბაშვილის გაშვების მიზეზი ესაა.

– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ 2016 წლის პარლამენტში საპარლამენტო გადატრიალებები გამოირიცხება?

– ამის გარანტია „ქართული ოცნების“ დეპუტატების დიდი რაოდენობა, ასევე ის ფაქტი, რომ მთელი რიგი საეჭვო პარტიები ვერ მოხვდნენ პარლამენტში. პარლამენტის აქამდე არსებული შემადგენლობა, ასევე პრეზიდენტის შესაძლო მონაწილეობა პროცესებში ქმნიდა ნიადაგს სააკაშვილის ძალადობრივი გეგმების განხორციელებისათვის. ნაციონალებმა დაახლოებით ორჯერ ნაკლები მხარდაჭერა მიიღეს, ვიდრე „ქართულმა ოცნებამ“. მიღებულმა პროცენტებმა ისინი გააჩერა. ამიტომ შედეგების გასაპროტესტებლად არანაირი გამოსვლები არ დაწყებულა.

– თუმცა პარტიები ახლაც საუბრობენ დარღვევებზე.

– დიახ, მაგრამ ეს არ ხდება არეულობის საფუძველი. სტაბილურობის გარანტია შეიქმნა. ესაა ბიძინა ივანიშვილისა და ამომრჩევლების დამსახურება. საზოგადოებამ პოლიტიკური სიმწიფე გამოიჩინა და მოიქცა ისე, როგორც ქვეყანას სჭირდებოდა.

რატომ დაატოვებინეს თანამდებობა ღარიბაშვილს

– „ქართული ოცნება“ ჭრელია. იქ არიან კვირიკაშვილსა და კალაძის გუნდები, სხვა ჯგუფები. ისინი ნეგატიურს ვერაფერს მოიმოქმედებენ?

– საკონსტიტუციო უმრავლესობის რაოდენობა ამის საშუალებას არ მისცემთ. რომელიმე შვიდკაციანმა ჯგუფმა რომ მოინდომოს დამოუკიდებელი თამაში, ამით უმრავლესობა არ დაიშლება. ნაცმოძრაობაც აღარაა განსაკუთრებულად საშიში. მათი არაფორმალური ლიდერი სააკაშვილი არჩევნების წინ ვეღარ შეასრულებს ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას. ერთადერთი, რაც მას დარჩა, დიდი ფულია, რომელსაც ის დროდადრო მავნებლობისთვის დახარჯავს და ამრევის როლს ითამაშებს.

– არის ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ახალ პარტიას ქმნის.

– ასეთი მონაცემები მეც მაქვს. უკრაინაში სააკაშვილმა დაავალა იქაურ პოლიტტექნოლოგებს, შექმნან პროგრამა საქართველოში ასამოქმედებელი ახალი პარტიისთვის. მუშაობა მიმდინარეობს. თავიდან სააკაშვილი თვითონ არ ჩაუდგება მას სათავეში. სააკაშვილს სხვა გზა არ დარჩენია. ნაცმოძრაობაში მებრძოლი ხალხი, როგორიც სააკაშვილს სჭირდება, თითქმის აღარაა. მაგალითად, რომელი ბარიკადებზე დამდგომია რომან გოცირიძე? იქ მისნაირი ბევრია.

ნაცმოძრაობა, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკური ბომონდი, იძულებული იქნება, მშვიდად იყოს. სააკაშვილმა ვერაფერი მოახერხა არასამთავრობოების დახმარებითაც. მისი დირექტივა იყო, რომ 200-მდე ორგანიზაციას აეტეხა ხმაური საკონსტიტუციო უმრავლესობის თემაზე. ამ განცხადებას სულ 50-მდე არასამთავრობომ მოაწერა ხელი. ყველა მათგანი წლების განმავლობაში შეკრული იყო სააკაშვილთან. სხვებმა ამაზეც კი უარი თქვეს.

ქვეყანაში შეიქმნა სტაბილური გარემო, რომელმაც უნდა დაასრულოს შეთქმულებების სერია. შეთქმულებების მსხვერპლი თავის დროზე გახდნენ ზვიად გამსახურდია, სოლიკო ხაბეიშვილი და ნუგზარ საჯაია. შედეგებით ყველაზე საშინელი იქნებოდა ის შეთქმულება, რომელსაც სააკაშვილი გეგმავდა. მას უნდა მოჰყოლოდა დიდი პოლიტიკური არეულობის ორგანიზება. 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნა. ხმას ვეღარ იღებს პატრიოტთა ალიანსიც, რომელიც ასიათასობით ადამიანის ქუჩაში გამოყვანით იმუქრებოდა, თუ მეორე ადგილზე არ გაიყვანდნენ.

რამაზ საყვარელიძე: „საარჩევნო ბარიერის 1%-მდე დაწევა არასერიოზულია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბრობს.

„ჩვენნაირი ქვეყნისთვის საპრეზიდენტო რესპუბლიკა უფრო მისაღებია“

– ბატონო რამაზ, „გირჩის“ ინიციატივით, პოლიტიკური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია, არსებითად შეიცვალოს საარჩევნო სისტემა, მათ შორის საუბრობენ საარჩევნო ბარიერის 5%-დან 1%-მდე დაწევაზე. როგორია თქვენი პოზიცია?

– თუ 1%-მდე უნდა დაიწიოს, მაშინ საერთოდ გაუქმდეს და, ვისაც მოუნდება, ყველა შევიდეს პარლამენტში. ეს ცოტა არასერიოზული მგონია. რომელი სახელმწიფო მიდის აქეთკენ, ყველას აქვს ბარიერი. ყველას თავშეყრა პარლამენტში გამოიწვევს პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური პროცესის არა პროგრესს, არამედ რეგრესს. ეს სერიოზული უკუსვლა იქნებოდა.

– თუმცა სერიოზულმა პოლიტიკურმა ძალებმა ვერ გადალახეს არსებული ბარიერი, ვინაიდან ის მაღალია.

– დიახ, მაგრამ ამიტომ უნდა გავაუქმოთ?! ბარიერი არსებობს იმიტომ, რომ ამომრჩეველმა კონკურენტუნარიან ძალებს შორის გააკეთოს არჩევანი და არა – ცოცხალ-მკვდრებს შორის, რომელთაც პულსი არ ესინჯებათ. მაღალი ბარიერი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უსვამს ხაზს, რომ პარლამენტში გამსხვილებული ერთეულები მივიღოთ, რათა გადაწყვეტილების მიღება უფრო ადვილი გახდეს.

– რას გულისხმობთ?

– მაღალი ბარიერის შემთხვევაში წვრილწვრილი პარტიები იძულებულნი ხდებიან, ამბიციები დათმონ და მოახერხონ გაერთიანება, რათა ბარიერი დაძლიონ და პარლამენტში შევიდნენ. რითია ეს ცუდი?

– ცუდი არ არის, მაგრამ პოლიტიკოსები ვერ ახერხებენ ხოლმე ასეთ კომპრომისებზე წასვლას, გაერთიანებას, ან თუ გაერთიანდნენ, ხელოვნურია ეს გაერთიანება.

– დიახ, სწორია, მაგრამ მაღალი სტანდარტი უნდა არსებობდეს, რომ ამ სტანდარტის დაკმაყოფილება მოხდეს პარტიების მიერ. გაერთიანებები უნდა მოხდეს პოლიტიკური შეხედულებების, იდეოლოგიის, პლატფორმის გათვალისწინებით და არა – ხელოვნურად, თანაც ყველა პარტიის შეყვანა პარლამენტში სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს.

– რა კუთხით?

– გადაწყვეტილების მიღება გაჭირდება. კანონპროექტი კანონად ვერ იქცევა. ამ ჭრელ პარტიებს ჭრელი შეხედულებები ექნებათ ამა თუ იმ კანონპროექტზე. როდესაც პოლიტიკურ სტაბილურობაზეა საუბარი, რა, ყველა პარტია თუ არ შევიდა პარლამენტში, არასტაბილური გარემო იქნება ქვეყანაში? თითოკაციანი თუ თითოპროცენტიანი პარტიები დესტაბილიზაციას მოაწყობენ?! ეს ხომ არარეალურია.

– ბატონო რამაზ, თქვენ ამბობთ, რომ მაღალი ნიშნული პარტიებს უფრო დახვეწს და პოლიტიკურ პროცესს ეს წაადგება?

– ხშირად ვდგები ხოლმე ამ ალტერნატივის წინაშე ჩემს სტუდენტებთან გამოცდების დროს. შეიძლება, მოთხოვნები შევამციროთ, მაგრამ ამით რას მივიღებთ? მივიღებთ უფრო დაბალი კლასის პარტიებს და შემდეგ – პარლამენტს. მრავალპარტიულობა კი კარგია და მას მართლაც არ აქვს დემოკრატიულ გარემოში ალტერნატივა, მაგრამ ამის მიღწევა ხელოვნურად კიდევ უფრო უარესია, კიდევ უფრო უკან დაგვხევს.

მრავალპარტიული პარლამენტის დიდი გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. ჩვენნაირი ქვეყნის მოსახლეობას მიდრეკილება აქვს, ერთი ლიდერი პარტია აირჩიოს და მას ანდოს ყველაფერი. რაც არ უნდა მრავალპარტიული სისტემა გვქონდეს, ამომრჩეველი მაინც ერთს აირჩევს და ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს ამის თქმის საფუძველს. მე ამ სურათის სულ ვაკვირდები. ყველა არჩევნები ერთი პარტიის ჰეგემონიით მთავრდება.

– ამის საფუძველი საარჩევნო სისტემაც ხომ არის, რომელიც გვაქვს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ მე ამ შემთხვევაში ჩვენი ამომრჩევლის ბუნებაზე ვსაუბრობ.

– მაჟორიტარული სისტემა უფრო გაამართლებს თუ სრულად პროპორციული?

– პროპორციულ სიაში ამომრჩევლისთვის უცნობი ხალხია თავმოყრილი, შეიძლება იცნობდეს მხოლოდ სიის პირველ ნომერს და დანარჩენს ვერავის, როგორც ეს ბურჭულაძის შემთხვევაში იყო. და რა გამოდის, სად არის აქ ხალხის ნება, დემოკრატია?! რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, აქ თითოეული ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ თავზე და ამომრჩევლის წინაშეც. აქ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია.

– როგორი მოწყობის მოდელს დაუჭერდით მხარს, საპარლამენტო რესპუბლიკას თუ ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტს?

– საპარლამენტო მოწყობის პირობებში ერთი გამარჯვებული პარტია აკომპლექტებს მთავრობას. ეს მოგვცემს ერთი პარტიის ჭკუაზე აწყობილ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ანუ საბჭოთა კავშირს. ამიტომ საპარლამენტო რესპუბლიკა ჩვენნაირი გამოცდილების მქონე ქვეყნისთვის ზიანის მომტანია ან ნაადრევია. ამიტომ უკეთესი იქნება, საპრეზიდენტო მმართველობისკენ წავიდეთ, მაგრამ ისეთი საპრეზიდენტო ინსტიტუტისკენ, რომელსაც სერიოზული დამბალანსებელი ეყოლება. ჩვენ გვქონდა ცუდად აწყობილი საპრეზიდენტო მმართველობა, თორემ ამერიკა 200 წელია, ამ მმართველობის ქვეშ ცხოვრობს ისე, რომ მისი გადახედვაც კი არ უფიქრია.

– იქ ხომ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებია?

– დიახ, მაგრამ ჩვენც უნდა შევქმნათ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები. ასევე შეიძლება გარკვეული დათქმები ჩაიწეროს, თუ ერთი პარტია გაიმარჯვებს იმ პარტიიდან არ უნდა იყოს პრეზიდენტი, როგორც აქამდე იყო და ა.შ. პარლამენტში გამარჯვებული ძალა შეიძლება სხვა იყოს, ხოლო აღმასრულებელი – სხვა, რომ პარლამენტმა მისი ფუნქციის, მაკონტროლებლის ვალდებულება კარგად შეასრულოს. მართვის წესი გადასახედია, თორემ შეიძლება უახლოეს მომავალში ისევ იმედგაცრუების წინაშე აღმოვჩნდეთ.

30 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტურიც გაიმართება

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, 30 ოქტომბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტურიც გაიმართება.

ზუგდიდში, სამივე საარჩევნო უბანზე განმეორებითი კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების გათვალისწინებით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ბესიკ გაბუნიამ 14.360 ხმა მოაგროვა, რაც საერთო რაოდენობის 44, 82%-ს შეადგენს, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა ლაშა გოგიამ – 14.152 ხმა (44,17%).

ზუგდიდის 3 უბანზე 22 ოქტომბერს ჩატარებული განმეორებითი კენჭისყრის შედეგები ასე გადანაწილდა:

ბესიკ გაბუნია – 439 ხმა, ლაშა გოგია – 954 ხმა.

ირაკლი შიოლაშვილმა სიღნაღის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებთან ერთად იქეიფა

ნაციონალები კომისიის ხელმძღვანელების დასჯას ითხოვენ

საპარლამენტო არჩევნების პირველივე ტურში „ქართული ოცნებიდან“ სიღნაღი – დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატ ირაკლი შიოლაშვილის გამარჯვება სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებმაც იზეიმეს.

საგანგებო წვეულება 16 ოქტომბერს ნუკრიანში, ე.წ. რიტუალების სახლში გაიმართა და მას ძირითადად „ქართული ოცნების“ წევრები, გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

წვეულების ორგანიზატორი ირაკლი შიოლაშვილი იყო და სუფრასაც თავად უძღვებოდა.

სიღნაღის საოლქო-საარჩევნო კომისიის მდივნის მამუკა კორაშვილის განცხადებით, წვეულებით არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება აღნიშნეს.

– ჩემმა მეგობრებმა დამპატიჟეს არასამუშაო საათებში. ეს ღონისძიება ეძღვნებოდა არჩევნების დემოკრატიულ, მშვიდ გარემოში ჩატარებას. საზოგადოების ერთი ჯგუფი აღნიშნავდა არჩევნების დასრულებას. იქ იყვნენ აქტიური მოქალაქეები, მათ შორის არასამთავრობოები. სხვა ჯგუფიც თუ გადაიხდის ანალოგიურ შემაჯამებელ ვახშამს, სადაც აღნიშნავენ არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას, მე ყველა მიწვევას მივიღებ, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მამუკა კორაშვილმა.

წვეულების ამსახველი ფოტომასალიდან ჩანს, რომ შეკრებას, რომელშიც ძირითადად „ქართული ოცნების“ წევრები და აქტივისტები მონაწილეობდნენ, სიღნაღის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მანანა მჭედლიშვილიც ესწრებოდა.

– საზოგადოებრივი თავშეყრა იყო და საზოგადოების ნაწილი ვიყავით. ირაკლი შიოლაშვილიც იყო, ყოფილი დეპუტატიც, საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლებიც იყვნენ. არ ვიცი, ირაკლიმ გამართა თუ ვინ გამართა. რომ მცოდნოდა, ნამდვილად არ წავიდოდი, – ამბობს მანანა მჭედლიშვილი.

მისივე თქმით, წვეულების გამართვის მომენტისთვის საოლქო-საარჩევნო კომისიას საერთო შემაჯამებელი ოქმი მიღებული ჯერ არ ჰქონდა, მაგრამ ყველა საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი შედგენილი იყო და ღონისძიებაში მისი მონაწილეობა შედეგს ვერ შეცვლიდა.

– ეგ არაფერი დანაშაული არ იყო. არჩევნებამდე ხომ არ ვყოფილვართ, რომ რამე გაგვეკეთებინა მათთვის და მიკერძოებულები ვყოფილიყავით? – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მანანა მჭედლიშვილმა.

ნუკრიანში მდებარე საბანკეტო დარბაზი, ე.წ. რიტუალების სახლი, მარინა ბეჟაშვილს ეკუთვნის. ბეჟაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრა, რომ ირაკლი შიოლაშვილის ოჯახი მისი ახლობელია და მისთვის მომსახურების თანხა არ გამოურთმევია, მხოლოდ კვების ღირებულება გადაუხადეს.

– ასზე მეტ ადამიანს კვება ხომ უნდოდა. მხოლოდ იმის ფული მომცეს, რომ ბაზარში პროდუქტი მეყიდა და კერძები მომემზადებინა, – აღნიშნა მარინა ბეჟაშვილმა.

◆ ◆ ◆

ირაკლი შიოლაშვილის ორგანიზებით გამართულ წვეულებაში მონაწილეობის გამო სიღნაღის საოლქო-საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელების მიმართ ნაციონალური მოძრაობა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას ითხოვს.

– პარტიულ ვახშამზე დაპატიჟებულნი იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც პარტიული წარმატება მიუძღვოდათ მიღწეულ გამარჯვებაში და მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ შეტანილი კანდიდატ ირაკლი შიოლაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში.

ამ მომენტისთვის სიღნაღის საოლქო-საარჩევნო კომისიას შემაჯამებელი ოქმი მიღებული არ ჰქონდა. პარტიულ წვეულებაში საოლქო-საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელების მონაწილეობა სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევაა. ისინი ობიექტურ და ნეიტრალურ მოხელეებად ვეღარასოდეს იქნებიან აღქმულნი. მათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმა უნდა შეეფარდოთ და კომისიის წევრის უფლებამოსილება ვადამდე უნდა შეუწყვიტონ, – აცხადებს ნაციონალი სერგო რატიანი.

მისივე თქმით, ამ ფაქტის შესახებ ცესკოსთვის ცნობილია, თუმცა ამ დრომდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

სიღნაღი-დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი ერთადერთი ოლქია კახეთის რეგიონში, სადაც პირველივე ტურში, 55.45%-ით, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ირაკლი შიოლაშვილმა გაიმარჯვა. მისმა კონკურენტმა ნაციონალური მოძრაობიდან ლევან ბეჟაშვილმა ხმების 26.2 % მიიღო.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

გამგეობის თანამშრომლები მაჟორიტარ კანდიდატ ვალერი გელაშვილს სასტუმროში შეხვდნენ

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს „ქართული ოცნებიდან“ ვალერი გელაშვილს გამგეობის თანამშრომლები სასტუმროში შეხვდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საიდუმლო შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი არ ესწრებოდა.

ვალერი გელაშვილის განცხადებით, გამგებელი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული და შეხვედრას ამიტომ არ დაესწრო.

გურასპაშვილის თქმით კი, ვალერი გელაშვილთან იდეალური ურთიერთობა აქვს, ხოლო ჟურნალისტებმა თავიანთ საქმეს მიხედონ.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტთან საუბარში ადასტურებს, რომ მათგან მან მხარდაჭერა მოითხოვა.

ხაშურში 30 ოქტომბერს საპარლამენტო მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

პირველ ტურში გელაშვილმა ხმათა მხოლოდ 20,11% მიიღო, ხოლო მრეწველების კანდიდატმა სიმონ ნოზაძემ – 31,95%.

პირველ რაუნდში მარცხის გამო ვალერი გელაშვილი მუნიციპალიტეტის გამგებელს ადანაშაულებს.

ქართლი. გე

დემოკრატიული მოძრაობა აჭარის უმაღლეს საბჭოში მეორე მანდატს ითხოვს

ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ გამოდის.

პარტია უსკოს მიერ მიღებული შემაჯამებელ ოქმს მანდატების განაწილების ნაწილში ასაჩივრებს და მონაცემების ბათილობას ითხოვს.

დიმიტრი ჭეიშვილმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა.

როგორც ჭეიშვილი ამბობს, მანდატები კანონის დარღვევით გადანაწილდა.

მისივე თქმით, უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის მიხედვით, გაუნაწილებელი მანდატი ერთმანდატიან პარტიებს შორის საუკეთესო შედეგის მქონეს უნდა მიეღო და არა – „ქართულ ოცნებას“, რომელმაც საერთო ჯამში ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა.

– ერთმანდატიან პარტიებს შორის რომელსაც ექნებოდა უფრო მეტი შედეგი ანუ მიღებული მეტი ხმა, ის წაიღებდა იმ ერთ მანდატს, მაგრამ, სამწუხაროდ, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ კონტექსტიდან ამოგლიჯა ამ მუხლის ეს ნაწილი და კითხულობენ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მათ, სამწუხაროდ, სჭირდებათ.

მე ვთვლი, რომ მათ ეს დაავალეს. ამბობენ, რომ მერვე მანდატიც ეკუთვნის „ქართულ ოცნებას“, ჩვენ ამას ვასაჩივრებთ საქალაქო სასამართლოში, – აცხადებს ჭეიშვილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გაკეთდა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში.

– უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ კანონი ისე განმარტა, როგორც წერია. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე ამ ეტაპზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. შესაბამისად, დავემორჩილები იმ გადაწყვეტილებას, რასაც სასამართლო მიიღებს. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ კანონით, რა კანონიც არის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 64-ე მუხლით, ჩვეულებრივად, სადაც წერია მანდატების გადანაწილების წესი, – ამბობს უსკოს იურისტი ფრიდონ ბათნიძე.

დემოკრატიულმა მოძრაობამ, უსკოს შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 5.89% მიიღო, შესაბამისად, საბჭოში 1 მანდატით იქნება წარმოდგენილი.

აიპრესი

აქცია თურქეთის საელჩოსთან

თურქეთის საელჩოსთან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და უფლებადამცველების აქცია-ბრიფინგი გაიმართა.

მათ გააპროტესტეს თურქეთის პრეზიდენტის განცხადება, რომელშიც რეჯეპ თაიფ ერდოღანმა თურქეთის საზღვრებზე საუბრისას ბათუმი და მეზობელი ქვეყნების სხვა ქალაქები ახსენა.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თურქეთის ხელისუფლება მინიშნებას აკეთებს, რომ თურქეთს აქვს პრეტენზიები აჭარის მიმართ და საქართველოს ხელისუფლებამ მსგავსი განცხადებების წინააღმდეგ ყველანაირი მექანიზმი უნდა გამოიყენოს.

– ეს განცხადება რომ რუსეთის მხრიდან გაკეთებულიყო, მას აუცილებლად მოჰყვებოდა რეაქციები, თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, მაშინ როდესაც საბერძნეთში მსგავსი ტიპის განცხადებას მყისიერი რეაგირება მოჰყვა.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ აამოქმედოს ყველანაირი ბერკეტი, რომელიც მსგავსი ტიპის განცხადებებს დაუპირისპირდება. თუ ხელისუფლება სირაქლემის პოზაში გააგრძელებს ყოფნას, აქციები გაგრძელდება და ჩვენ გადავინაცვლებთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

◆ ◆ ◆

ინფორმაცია თურქეთის პრეზიდენტის განცხადების შესახებ ბერძნულმა მედიამ გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, რეჯეპ თაიფ ერდოღანმა ერთ-ერთი ღონისძიებაზე განაცხადა, რომ 1920 წელს თურქეთის საზღვრების შესახებ მიღებული პაქტი მოიცავდა კვიპროსს, ალეპოს, მოსულს, ერბილს, კურკუკს, ბათუმს, სალონიკსა და სხვა ტერიტორიებს.

მედიანიუსი

მარნეულის საოლქო კომისიის თავმჯდომარეს „ბიჭოთი“ მიმართეს

მარნეულის 22-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრების განხილვა გუშინ, 23 ოქტომბერს, ხმაურის ფონზე წარიმართა.

საოლქო კომისიის თავმჯდომარე იაკობ ასანიძემ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრის“ დამკვირვებელი თეა ქეცბაია პირადი შეურაცხყოფის მიყენების მოტივით სხდომიდან გააძევა.

საჩივრების განხილვისას თეა ქეცბაიამ იაკობ ასანიძეს „ბიჭოთი“ მიმართა, რის გამოც მას სხდომა დაატოვებინეს.

კომისიამ №48 ყიზილაჯლოს საარჩევნო უბანზე 22 ოქტომბერს შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას დამკვირვებლების მიერ დაწერილი საჩივრები განიხილა.

იაკობ ასანიძის განცხადებით, საჩივრები ძირითადად პროცედურული ნორმების დარღვევებს შეეხებოდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„ტექნო ბუმის“ მაცდური მესიჯი და აღშფოთებული ხალხი მაღაზიის ფილიალებთან

„ტექნო ბუმი“ ბოდიშებს იხდის

„მადლობა, რომ მთელი წელი იყავი ჩვენი ერთგული სმს მომხმარებელი, მადლიერების ნიშნად მობრძანდით 21 ოქტომბერს, „ტექნო ბუმის“ მაღაზიებში, წარმოადგინე ესემესი და შენაძენის გარეშე მიიღე შენი საჩუქარი. იჩქარე! არ გამოტოვო „ტექნო ბუმის“ მადლიერების დღე!“

აღნიშნული სარეკლამო შეთავაზება გასულ კვირას მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო.

ზოგმა მათგანმა გადაწყვიტა, კუთვნილი საჩუქრის მისაღებად მითითებულ მაღაზიაში მისულიყო,

თუმცა ადგილზე მისულებს მაღაზიის კარი დაკეტილი დახვდათ და მთელი დღის მანძილზე გრძელ რიგში დგომა მოუწიათ.

ზოგს სასაჩუქრე ვაუჩერი გადაეცა, ზოგიერთი კი ვაუჩერის გარეშეც დარჩა. „ტექნო ბუმის“ ამ სარეკლამო აქციას საზოგადოების გაღიზიანება მოჰყვა. მომხმარებლები აღშფოთებას ფეისბუქზე გამოხატავდნენ. სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტები იწერებოდა:

– ტექნო ბუმი, თქვენ ხართ ყველაზე სამარცხვინო და მატყუარა კომპანია თუ რაც ხართ... თუ ვინმე იჩივლებს, აუცილებლად შევუერთდები და ჩემს სარჩელს გავაერთიანებ მათთან...

– დღეს ტექნო ბუმის მაღაზიებს ხალხი აწყდება ერთმანეთს, ეს ყველაფერი არის აფიორა, ტყუილი არანაირი საჩუქარი არ არსებობს მე ის მშობლები მეცოდება, დღეს რომ ვნახე რიგში პატარა ბავშვებთან ერთად, რომლებსაც საჩუქრის მოლოდინი აქვთ და

თან სპეციალურად იდგა ერთი დაუღლელი წარმომადგენელი ოპერატორებთან, რომელიც ყველას სთხოვდა ტელეფონს და „ტექნობუმის“ გაგზავნილ მესიჯს უშლიდა... ანუ ფაქტებს არ ტოვებდნენ....

– დღეს ტექნო ბუმის მაღაზიებს ხალხი აწყდება ერთმანეთს, ეს ყველაფერი არის აფიორა, ტყუილი არანაირი საჩუქარი არ არსებობს მე ის მშობლები მეცოდება, დღეს რომ ვნახე რიგში პატარა ბავშვებთან ერთად, რომლებსაც საჩუქრის მოლოდინი აქვთ და

რეალურად მიიღებენ ფასდაკლების იდიოტურ 50-ლარიან ვაუჩერს, რის გამოც არ ღირს საერთოდ გაკარება მაღაზიებთან, ჩემი თვალით ვუყურებდი უკანა მხრიდან გამოსულ ხალხის ნაკადს, რომლებსაც სიბრაზისგან დაკუჭული ვაუჩერი გამოჰქონდა, რადგან მიხვდა, რომ ამდენი დრო და ენერგია ფუჭად დაკარგა.

◆ ◆ ◆

ამბები.გე ვითარებაში გასარკვევად „ტექნო ბუმს“ დაუკავშირდა. კითხვებს კომპანიის მარკეტინგის მენეჯერმა თამუნა დუმბაძემ უპასუხა.

– რა სახის აქცია გქონდათ დაგეგმილი და რატომ გამოიწვია მომხმარებლის გაღიზიანება ამ აქციამ?

– 21 ოქტომბერს „ტექნო ბუმის“ მაღაზიათა ქსელში ჩატარდა მადლიერების დღე სმს კლუბის წევრებისთვის. „ტექნო ბუმმა“ მადლობა გადაუხადა სმს კლუბის წევრებს, მთელი წელი ერთგულებისთვის და ყოველგვარი შენაძენის გარეშე, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გადასცემს სასაჩუქრე ბარათებს, რომლებშიც მომხმარებლები აღმოაჩენენ 50 ლარიდან 200 ლარამდე ფასდაკლების ვაუჩერებს ან სხვა საჩუქრებს.

აქციამ მომხმარებელთა მხრიდან ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, შესაბამისად, „ტექნო ბუმის“ მაღაზიებში მთელი დღის განმავლობაში რიგები შეიქმნა და მომხმარებლების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც „ტექნო ბუმი“ კიდევ ერთხელ უხდის ბოდიშს ამ დისკომფორტისთვის და მომხმარებელთა დიდი ინტერესის გამო შექმნილი რიგების განტვირთვისთვის აქცია გაგრძელდა 31 ოქტომბრამდე.

– რატომ დახვდა საზოგადოებას მაღაზიები დაკეტილი?

– მაღაზიები არ დაკეტილა, პირიქით, უფრო ადრე გაიხსნა და გვიან დაიკეტა, ვიდრე იყო სამუშაო გრაფიკით გათვლილი. თუმცა მომხმარებელთა ნაკადი იმდენად დიდი იყო, რომ მაღაზიაში არ ეტეოდა ხალხი და სწორედ ამიტომ იყო რიგები მაღაზიის გარეთაც, რის გამოც კიდევ ერთხელ ვუხდით ყველას ბოდიშს, ვისაც დიდხანს მოუწია რიგში დგომა.

– სოციალური ქსელის მომხმარებლები წერენ, რომ მაღაზიებთან მდგომი კონსულტანტი მათი ტელეფონიდან შლიდა ტექნო ბუმის მესიჯებს, არის თუ არა მართალი?

– ერთ ესემესზე გაიცემა ერთი სასაჩუქრე ბარათი, სწორედ ამიტომ ხდება ესემესის წაშლა, რომ არ მოხდეს ერთსა და იმავე ადამიანზე რამდენჯერმე სასაჩუქრე ბარათის გაცემა.

– სულ რამდენი საჩუქარი გაეცით?

– ამ დროისთვის სულ გაცემულია 7.300 სასაჩუქრე ბარათი. სასაჩუქრე ბარათების გაცემა გრძელდება და 31 ოქტომბრამდე ესემეს კლუბის წევრებს ექნებათ მისი აღების შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს მომხმარებლებს შექმნილი რიგების გამო.

თამარ ბოჭორიშვილი, ამბები.გე

„ლიტვური საცხობი“: შავ-თეთრი პური წარმოების დროს დაშვებული შეცდომაა

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოს, სადაც „ლიტვური საცხობის“ შავ-თეთრი პურია ასახული, დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

მომხმარებელთა ერთი ნაწილი საცხობს პურის შეღებვაში ადანაშაულებდა, ნაწილი კი ბრენდის მიმართ საკუთარ ლოიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა.

საკითხის გასარკვევად ბიზნესპრესნიუსი „ლიტვურ საცხობს“ დაუკავშირდა.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, ფოტოზე ასახული პური მათი საცხობიდანაა, თუმცა შეღებილი არ არის.

– წარმოების პროცესში ადამიანური ფაქტორით გამოწვეულმა შემთხვევამ, ე.წ. ცომის საჭრელ დანადგარში თეთრი და რუხი ცომის ერთმანეთთან შერევამ და მზა პროდუქტში ორფეროვანი შიგთავსის წარმოქმნამ მომხმარებელში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩვენ ვაწარმოებთ როგორც თეთრ, ისე შავ პურს. ბოლო პერიოდში კომპანიაში მოხდა გადაიარაღება და, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან სწრაფ ტემპში ხდება პურის ცხობა და მიწოდება მაღაზიებისთვის, იყო შემთხვევა, როცა თეთრი ცომის გუნდა რუხ ცომს შეერია.

წარმოების პროცესში ადამიანური რესურსია ჩართული და, სამწუხაროდ, უშეცდომო არავინაა. ბრალდება კი პურის შეღებვასთან დაკავშირებით სრულიად უსაფუძვლოა, – აღნიშნა „ლიტვური საცხობის“ მარკეტინგის მენეჯერმა სალომე ბიბილაშვილმა.

შეცდომის მიუხედავად, კომპანია არცერთი თანამშრომლის გათავისუფლებას არ აპირებს.

– კომპანია ითვალისწინებს საქართველოში არსებულ სოციალურ მდგომარეობას და მომხდარი ფაქტის გამო სამსახურიდან არავის ათავისუფლებს. „ლიტვური საცხობის“ დასაქმებულთა რაოდენობა უკვე 300 ადამიანს აჭარბებს. ჩვენი პროდუქციის ხარისხთან ერთად, კონცენტრირებული ვართ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე, ასევე მზად ვართ, ნებისმიერ კვლევაში მივიღოთ მონაწილეობა და დავუმტკიცოთ ნებისმიერ მომხმარებელს და დაინტერესებულ მხარეს, რომ ლიტვური პური აბსოლუტურად ჯანმრთელი პროდუქტია, – აღნიშნავენ კომპანიაში.

ქრისტინე გამთენაძე, ბიბიენი

არჩილ გამზარდია ჯანდაცვის პროგრამას აკრიტიკებს

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, ტელეკომპანია ჯიდიესის გადაცემა „კვირის 2030“-ის ყოფილი წამყვანი არჩილ გამზარდია ჯანდაცვის პროგრამას აკრიტიკებს.

გამზარდია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე არსებულ სიტუაციაში ჯანდაცვისა და სოციალური სფერო წარმატებულად დასახელებას პარადოქსს უწოდებს.

– წამლების ფასებმა მოიმატა, სადაზღვევო პაკეტების ფასმა მოიმატა, ექიმთან კონსულტაციის ფასმა მოიმატა, პაციენტები იწეწებიან, თუმცა ბევრგან ექიმებს ხელფასები თვეობით უგვიანდებათ. შრომის უფლებები დარღვეულია, შრომის ინსპექცია არ არსებობს, რეცეპტურის სისტემამ ვერ გაამართლა და მხოლოდ დამატებით წვალებად იქცა.

ექიმი დაუცველია, პაციენტი დაუცველია, უმუშევარი დაუცველია, დასაქმებული დაუცველია, ინფლაცია მაღალია და შემოსავლები არ იმატებს, ანაზღაურება არ იზრდება, სოციალური სტატუსების შეფასების სისტემა მოძველებულია. მაგრამ ჯანდაცვის და სოციალური სფერო მაინც წარმატებულად ითვლება, აი, ეს არის პარადოქსი, – წერს გამზარდია ფეისბუქზე.

კომერსანტ.გე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში ჰილტონის სასტუმრო გაიხსნება?



რადიო „კომერსანტისთვის“ ცნობილი ხდება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილ შენობაში სასტუმროების მსოფლიო ბრენდის, ჰილტონის, შეყვანა განიხილება.

პროექტის სავარაუდო რენდერების ფოტო სოციალურ ქსელში უკვე გავრცელდა, თუმცა დეტალები არ ხმაურდება.

მიმდინარე წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილ შენობაში სასტუმროს პროექტი კომპანია „ჯორჯიან ფროფერთისისგან“ ლატვიურმა საინვესტიციო ჯგუფმა „გრანატ ინვესტმენტმა“ გამოისყიდა.

სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულების მიხედვით, ადგილზე 5– ვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა გაიხსნას. „გრანატ ინვესტმენტი“ ამ ეტაპზე სასტუმროს ბრენდის დასახელებისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ მოლაპარაკებების პროცესს დრო სჭირდება.

შეთანხმების მიხედვით, სასტუმრო 4 წელიწადში უნდა გაიხსნას, 120-ნომრიანი უნდა იყოს და მასში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდოს.

ლატვიური „გრანატი“ კერძო საინვესტიციო კომპანიაა, რომელსაც აქტივები სხვადასხვა მიმართულებით აქვს. კომპანიას ოფისები აქვს ლატვიაში, გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში.

კომპანიის წარმომადგენლის, ელგუჯა ცინცაძის ინფორმაციით, სასტუმრო „გრანატის“ პირველი პროექტია საქართველოში, თუმცა სამომავლოდ სამედიცინო კუთხით, ასევე სამშენებლო მასალების, კონკრეტულად, ცემენტის ბიზნესის მიმართულებით გეგმავენ გააქტიურებას და თანამშრომლობას როგორც სახელმწიფოსთან, ისე კერძო სტრუქტურებთან.

გავრცელებული რენდერების მიხედვით ირკვევა, რომ მოხდება არსებული შენობის რეკონსტრუქცია და რამდენიმე სართულის დამატება.

პროექტის მიხედვით, შენობა 11 სართულიანია.

თბილისში ჰილტონის ბრენდის ქვეშ სასტუმროს გახსნას მომავალ წელს ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილიც გეგმავს. ჰილტონ გარდენ ინი ჭავჭავაძის გამზირზე შენდება, ხოლო მისი საინვესტიციო ღირებულება 31 მილიონი დოლარია.

ჰილტონის ბრენდის შემოყვანას რამდენიმე წელია ცდილობს ბიზნესმენი დავით კოდუაც, რომელსაც სასტუმროს გახსნა მელიქიშვილის გამზირზე, ყოფილი სასტუმრო „საქართველოს“ ნაცვლად სურს.

სალომე სოსელია, კომერსანტ.გე

თბილისში სამი ახალი ავიაკომპანია შემოდის

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნოემბერში სამი ახალი ავიაკომპანია – თურქმენისტან ეირლაინზი, პობედა და დარტი დაიწყებს ოპერირებას.

ამის შესახებ თბილისის აეროპორტის მმართველი კომპანიის „ტავ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერის მოადგილე თეა ზაქარაძემ განაცხადა.

როგორც თეა ზაქარაძემ აღნიშნა, გადაყვანილი მგზავრების 90%-ზე მეტი სწორედ თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის.

– ნოემბერში სამი ახალი ავიაკომპანია იწყებს რეისების შესრულებას. აქედან აღსანიშნავია პობედა როსტოვის მიმართულებით, რადგან არის დაბალტარიფიანი. ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც დაბალტარიფიანი კომპანია იწყებს ოპერირებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ასევე აღსანიშნავი მიმართულებაა თურქმენეთი, რადგან ახალია და დღემდე არ ყოფილა. გარდა ამ სამისა, ასევე გვაქვს მოლაპარაკებები სხვა ავიაკომპანიებთან, – განაცხადა თეა ზაქარაძემ.

დეტალების დაკონკრეტებისგან მან თავი შეიკავა.

ბიბიენი

საქართველოს მოქალაქეებისთვის ნორვეგიის ვიზის მიღება გამარტივდა

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული საემიგრაციო და სავიზო პოლიტიკის გათვალისწინებით ნორვეგიის საემიგრაციო დირექტორატმა საქართველო ერთი საფეხურით დააწინაურა და იმ ქვეყნების კატეგორიაში გადაიყვანა, რომლის მოქალაქეებისთვისაც სავიზო განაცხადების განხილვის კვოტები გაზრდილია.

საქართველომ „ნარინჯისფერი კატეგორიიდან“ გადაინაცვლა „ყვითელ კატეგორიაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფში მყოფი ქვეყნების მოქალაქეების მიერ ნორვეგიის სამეფოში სავიზო განაცხადის უმრავლესობა დადებითად კმაყოფილდება.

ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეებსაც ნორვეგიაში გასამგზავრებლად ვიზა ესაჭიროებათ ნორვეგიის სამეფო კატეგორიებად ყოფს. ამ კატეგორიებში მოხვედრილი ქვეყნების ჩამონათვალი სხვადასხვა ქვეყანაში გატარებული ეფექტური სავიზო პოლიტიკის, უსაფრთხოების მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული სტაბილური პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ყოველწლიურად გადაიხედება.

ნიუსპრესი

გაყალბების ფაქტები აჭარაში

ლევან ვარშალომიძე ვიდეოკადრებს აქვეყნებს

ლევან ვარშალომიძემ არჩევნების დღეს გადაღებული მორიგი ვიდეოკადრები გაასაჯაროვა, რომლებიც, მისი თქმით, 8 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების გაყალბების მორიგ ფაქტებს ასახავს.

აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ვიდეოკადრებს ფეისბუქის გვერდზე ავრცელებს და იქვე დეტალებს განმარტავს:

ვიდეო 2. მოქმედება ხდება 69-ე ოლქის 55-ე უბანზე

უბანზე არაუფლებამოსილი პირი იღებს ბიულეტენს და თავისი სურვილისამებრ წყვეტს, ვის მიაკუთვნოს.



ვიდეო 1. მოქმედება ხდება ბათუმის 68-ე ოლქის 36-ე უბანზე

მოგეხსენებათ, რომ ოქმზე ხელის მოწერა არის ბოლო პროცედურა, რომელიც მაშინ სრულდება, როცა ხმა დათვლილია, ბიულეტენები – დალუქული და ყველა სამუშაო დასრულებული, შესაბამისად, ოქმი შევსებულია და ამის დასტურად კომისიის წევრები აწერენ ხელს. ეს არის წესი.

კადრებში თქვენ ხედავთ, რომ მაგიდაზე წინასწარ ხელმოწერილ ოქმებზე მიდის შევსების პროცესი და ბიულეტენებიც იქვე დევს, არ არის დალუქული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ უბანზე დადგა არასასურველი შედეგი და ხდება ხელოვნური ჩარევა, გადაკეთება, ჩასწორება, გაბათილება და ა.შ.

ეს არ არის უბრალოდ პროცედურული დარღვევა, ეს არის ფაქტი, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ ამ ოლქის შედეგები არსებითად შეეცვალა.

ვიდეო 3. 69-ე ოლქის 51 უბანი

ასეთი შემთხვევა ბევრი გამოაშკარავდა და დასკვნა ერთია, უბნებზე იყო ხელოვნურად შექმნილი ქაოსი, რათა „საჭირო“ ადამიანებს ჰქონოდათ შესვლის საშუალება, წვდომა ბიულეტენებზე და სხვადასხვა მანიპულაციის უფლება.

კადრში ხედავთ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის დროს აბარებს ანგარიშს ზემდგომს ციფრების დეტალიზებით და იღებს დირექტივას.

ამას კომისიის წევრი უპროტესტებს, რაზეც იგი პასუხობს:

– მიჩივლე, სადაც გინდა, დამანებე თავი.

აქვე უნდა ვთქვა, რომ საარჩევნო პროცესში კომისიის წევრებს ევალებათ ციფრების ოქმში ჩაწერა და არა წინასწარ, ტელეფონით ინფორმაციის გადაცემა და მიღებული დირექტივის მიხედვით ოქმის შედგენა.

ნიუპოსტი

ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე უცხო პირებმა შეჭრა ცადეს

დაღუპულია ერთი თავდამსხმელი

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე უცხო პირების მხრიდან შეჭრის ფაქტი დაფიქსირდა.

– 23 ოქტომბერს, დაახლოებით 03:30-ზე, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე უცხო პირების მხრიდან შეჭრის ფაქტი დაფიქსირდა.

რამდენიმე უცხო პირი არ დაემორჩილა განწესში მყოფი გუშაგის სიტყვიერ გაფრთხილებას და თავს დაესხა მას, რის შემდეგაც გუშაგმა წესდებით გათვალისწინებული მოქმედებები განახორციელა და ცენტრის ტერიტორიაზე შეჭრის ფაქტი აღკვეთა.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას, ერთ-ერთი თავდამსხმელის ცხედარი აღმოაჩინეს, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

საქმეს, მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს.

გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს.

* * *

ხაშურში ქალმა მამაკაცი დაჭრა

ხაშურში ქალმა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრა.

ქალი აფთიაქში მუშაობს, ხოლო მამაკაცი – ბაზრობაზე.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, დაშავებული ქალს „სისტემატურად აწუხებდა“.

გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

დაჭრილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

* * *

შალვა ხუციშვილი: „საერთაშორისო დამკვირვებლების ცემის ფაქტზე მართლმსაჯულება აღსრულდება“

– საერთაშორისო დამკვირვებლების ცემის ფაქტზე მართლმსაჯულება აუცილებლად აღსრულდება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრო ორი მიმართულებით მუშაობს.

– ერთია ის, რომ დავადგინოთ, თუ რა მოხდა, ვინ არის დამნაშავე ამ პირების ცემაში, რათა ისინი პასუხისგებაში მივცეთ. მეორეა, რამდენად ადეკვატურად იმოქმედეს შსს-ს თანამშრომლებმა იმ დროს, როცა ისინი მომხდარს შეესწრნენ. რამდენად შეძლეს მათ დამკვირვებელთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა.

ეს საქმე ჩვენთვის მნიშვნელოვანია. საერთაშორისო დამკვირვებლები რომც არ იყვნენ და ადგილი ჩვეულებრივ საარჩევნო ხელშეშლას ჰქონდეს, საქმე მაინც მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ გამოძიებას წარმატებით დავასრულებთ და შედეგებს ვნახავთ, – აღნიშნა შალვა ხუციშვილმა.

* * *

თურქეთში ქართველი მეზღვაური დაიღუპა

21 ოქტომბერს პანამის დროშის ქვეშ მცურავ თურქულ გემზე 23 წლის ქართველი ახალგაზრდა გარდაიცვალა.

როგორ ინტერპრესნიუსს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში განუცხადეს, 23 წლის მამაკაცი, სავარაუდოდ, გემბანიდან გადმოვარდნის შედეგად დაიღუპა.

22 ოქტომბერს ქართველი მეზღვაურის ცხედარი, სარფის საბაჟოს გავლით, საქართველოში გადმოასვენეს.

სარფში გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები იყვნენ შეკრებილნი. სარფის საბაჟოზე ასევე იმყოფებოდა კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც ოჯახს ექსპერტიზის დასკვნა გააცნო.

გარდაცვლილის ბიძაშვილს, იაკობ ბუხაიძეს, ოფიციალური ვერსიის, რომ დაღუპულს ფეხი დაუცურდა, ჩამოვარდა და ამის შედეგად დაიღუპა, არ სჯერა.

– ყველას ჰგონია, რომ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, მაგრამ, იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც მოგვაწოდეს, იქ არ უნდა გარდაცვლილიყო. გვითხრეს, ფეხი დაუცურდა, მაქსიმუმ მეტრ-ნახევრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და წყალში ჩავარდა. მუშაობის დროს დამცავი საშუალებები უნდა ჰქონოდა, უსაფრთხოების ზომები უნდა ყოფილიყო დაცული, – აღნიშნა იაკობ ბუხაიძემ.

გარდაცვლილის ბიძა პაატა ციხელაშვილი უბედური შემთხვევის დეტალებში გარკვევას ითხოვს.

– კომპანიის წარმომადგენელმა გადმოიყვანა ცხედარი, ექსპერტიზის დასკვნაც გაგვაცნო, აგვიხსნა, რომ ანალიზი აღებულია და დადგენილია, რომ არ იყო ნასვამ მდგომარეობაში და არ იყო ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამოძიება მიმდინარეობს. ჩვენ გვაინტერესებს დეტალები, რა დროს, როგორ მოხდა, უსაფრთხოების ზომები დაცული იყო თუ არა, – აღნიშნა პაატა ციხელაშვილმა.

ოჯახი სახელმწიფო სტრუქტურებს გამოძიების ჩატარების მოთხოვნით მიმართავს. ასევე, ის აპირებს, ცხედარს ექსპერტიზა განმეორებით ჩაუტაროს.

მამუკა გვაძაბია: „არ შეიძლება, დიდი მომღერალი პოლიტიკოსი გახდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნაციონალები კი ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს მათ ვუჭერდი მხარს და ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართველების გადმოყვანას ვუწევდი ორგანიზებას. ვიცი, ვინც აკეთებდა ამას. ფეისბუქის მეშვეობით განცხადება გავაკეთე და ტელეფონითაც ავუხსენი, რომ ნაცმოძრაობას მხარს არ ვუჭერ, რადგან ნაცმოძრაობას არც მორალური, არც ზნეობრივი, არც ეროვნულ-პოლიტიკური და არც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ დაუმსახურებია ის, რომ მათ მხარი დავუჭირო.

– ევროატლანტიკური მიმართულების ამომრჩევლების ხმები დაიკარგო. ისინი მეორე ტურში ნაცმოძრაობას ხმას არ მისცემენ?

– მეეჭვება. ნაცმოძრაობამ უკვე დაიმკვიდრა ისეთი პარტიის სახელი, რომელიც ხელისუფლებაში ვერ მოდის არჩევნების გზით და მხოლოდ რევოლუციის სცენარი აქვს. ამ დროს საზოგადოებას (როგორი ორიენტაციისაც უნდა იყოს ის, ევროატლანტიკური იქნება თუ არა), საერთოდ არ უნდა რევოლუცია.

– არეულობა მოსწყინდა?

– დიახ, მაგრამ ნაცმოძრაობა გახდა ისეთი პარტია, რომელიც მუდმივად რევოლუციაზეა ორიენტირებული. თავისი მომხრეების მაქსიმალური მობილიზაცია მოახდინეს და რაც მიიღეს, ის მიიღეს. ოდესიდან შემოძახილმაც უარყოფითი როლი ითამაშა.

– პირიქით არ იყო? ნაციონალებზე ხელჩაქნეულ ამომრჩეველს საბაკაშვილის ჩამოსვლის თაობაზე ინფორმაციამ მოტივი გაუჩინა.

– სააკაშვილმა ვერც გვირაბი გათხარა და ვერც ზღვა გადაცურა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობაა და პატივი უნდა ვცეთ ამომრჩევლის ნებას, ასევე პატივი ვცეთ ხელისუფლების ამომრჩევლის ნებას. ოღონდ, ნაცმოძრაობა არჩევნების გზით ვერ მოდის ხელისუფლებაში და მხოლოდ რევოლუციის სცენარები აქვს. ნაცმოძრაობა ერთხელ რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში, მეორედ – ვიცით, 2008 წლის არჩევნები როგორი არჩევნები იყო.

– გაყალბებით.

– 2012 წლის არჩევნები წააგეს, ახლაც წააგეს. ნაცმოძრაობა ძალიან უნდა უფრთხილდებოდეს იმ სტატუსს, რაც აქვს. იმედი მაქვს, ნაცმოძრაობის ეკონომისტები ძლიერ ოპონირებას გაუწევენ „ოცნებას“, თუ საჭირო იქნება.

„ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას იღებს. 2010 წელს განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილებები და ყველაფერი ერთმა ადამიანმა მოირგო, შემდეგ კი პრემიერს მიანიჭა დიდი უფლებები. საქართველო საპრეზიდენტო ქვეყნად უნდა დარჩენილიყო.

– ზოგადად, არჩევნების შედეგებს როგორ აფასებთ?

– არჩევნების შედეგებზე ბევრი ლაპარაკობს. არ შეიძლება საუბარი არჩევნების არალეგიტიმურობაზე. არაფერი ისეთი ამ არჩევნებზე არ მომხდარა, რაც ადრე არ ყოფილა. რევოლუციის საბაბი დღეს საქართველოში არ არსებობს. როგორც შევარდნაძემ მოჭამა თავისი დრო, როგორც ნაცებმა მოჭამეს თავიანთი დრო, ისე ქოცებიც მოჭამენ თავიანთ დროს.

– ოპოზიცია პარლამენტში რას გააკეთებს?

– ოპოზიციას პარლამენტში ობსტრუქციის მოწყობა შეუძლია. პოლიტიკურ ობსტრუქციაზე ვსაუბრობ და არა მუშტი-კრივს. იმუშაონ და ნუ იქნებიან ორიენტირებული იმაზე, მეტი აღარაფერი დარჩათ, მუდმივად იძახონ, „რუსი ოლიგარქი ივანიშვილი“. ჩაუსაფრდი (კარგი გაგებით) ხელისუფლებას, გააკრიტიკე ეკონომიკური პროგრამა, გააკრიტიკე იმისთვის, რასაც ვერ აკეთებენ, იყავი შენს დონეზე.

– მუდმივად ივანიშვილის ძახილი არაფრის მომტანია?

– „რუსი ოლიგარქის“ ძახილი ხალხს უკვე მოყირჭდა. ეს არ მუშაობს. ნაცმოძრაობას ურჩევნია, ნუ იოცნებებს რევოლუციის მოწყობაზე და ნუ იოცნებებს იმაზე, რომ ივანიშვილი გუდანაბადს აიკრავს, წავა საქართველოდან და ქვეყანას ნაციონალებს შეატოვებს.

– ანუ დასჯერდნენ იმ სტატუსს, რაც ახლა აქვთ?

– დიახ. როცა ნაციონალების სიის ათეული ვნახე, ვთქვი, რომ ისინი არ არიან რევოლუციონერები. ისინი არიან პარლამენტარები თავიანთი მოწოდებით. მათ პარლამენტში შესვლა და სიმშვიდე უნდათ.

– ე.ი. პარლამენტის მანდატის შერგება უნდათ?

– დიახ. არავის სჭირდება ახლა საქართველოში რევოლუცია და არეულობა, არც ჩვენს დასავლელ პარტნიორებს – არც აშშ-ს, ევროკავშირსა და ნატოელ პარტნიორებს. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებაშიც“, ნაციონალებშიც და პატრიოტთა ალიანსშიც არიან პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები.

– ნაციონალებშიც?

– დიახ. ჩემთვის პარლამენტში პრორუსული ძალების მოხვედრა კატასტროფაა, მაგრამ მოცემულობაა ასეთი. ეს წინა ხელისუფლებების ბრალია.

– ნაწილობრივ დასავლეთისადმი გულაცრუება ნაცმოძრაობის პოლიტიკამ ხომ არ გამოიწვია?

– ნაცმოძრაობამ დასავლური ღირებულებების დევალვაცია გამოიწვია როგორც მმართველობის დროს, ისე ოპოზიციონერობის პერიოდში. საქართველოში ძალიან ბევრი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტვინია. ამ ადამიანებს ცოტა სჭირდებათ, რომ ისევ აღმოჩნდნენ პოსტსაბჭოთა ილუზიებსა და რუსეთის გავლენაში. თუმცა, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მოსახლეობის 70% დასავლეთზეა ორიენტირებული.

არაბლოკური კავშირების შესახებ დემაგოგია რუსეთის შემოგდებულია.

– ისე, ამ მხრივ, მგონი, სანერვიულო არაფერია. ამ იდეამ ვერ გაიმარჯვა.

– ჰო, მაგრამ კვალიფიციური სუბიექტი გახდა და სახელმწიფოსგან დაფინანსებაც ეძლევა. მოსახლეობამ გაიგო, რას ნიშნავს უბლოკო სტატუსი.

– რას?

– უბლოკო სტატუსი ნიშნავს უპატრონოდ მიგდებულ საქართველოს, რადგან ჩვენს ქვეყანას თავისი რესურსებით დამპყრობლებისგან თავის დაცვა არ შეუძლია. ამიტომ ვერთიანდებით კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში.

– ამ არჩევნების შედეგად ბევრი პარტია გაკოტრდა. თქვენი ანალიზით, რა მოხდა?

– ყველაზე მეტად გული დამწყდა თავისუფალ დემოკრატებზე, თუმცა, ის ნაბიჯები, რომლებიც არჩევნების შემდეგ მათ გადადგეს, მისასალმებელია. ლიდერებმა აიღეს პასუხისმგებლობა და გადადგნენ.

ზოგი იმიტომ წავიდა, რომ დაბრუნდეს, ზოგი, ინფორმაცია მაქვს, „ქართულ ოცნებასთან“ სათანამშრომლოდ წავიდა. დანარჩენი პარტიები რომ ვერ გადალახავდნენ ბარიერს, ვიცოდი. არასოდეს მიფიქრია, რომ რესპუბლიკური პარტია ოდესმე 5%-იან ბარიერს გადალახავდა. ვერც უახლოეს ხანში გადალახავენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკურჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

უნგრეთში 1956 წლის აჯანყების 60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებიან

1956 წლის 23 ოქტომბერს ბუდაპეშტში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა იმპერიისა და მარიონეტული კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. პრემიერმა ორბანმა განაცხადა, რომ ამ თარიღის სათანადო დონეზე აღნიშვნა უნგრელთათვის ეროვნული ღირსების საქმეა.

უნგრეთის აჯანყება სტუდენტების პროტესტის შედეგად დაიწყო. მეზობელ პოლონეთშიც საპროტესტო ტალღა აზვირთდა.

სტუდენტების ჯგუფმა რადიოკომიტეტის შენობასთან მოიყარა თავი. ისინი მოითხოვდნენ, გვითხარით, რა ხდება პოლონეთშიო. გარკვეული ელემენტები ცდილობდნენ, ვნებათაღელვა გაეღვივებინათ, რაც შეძლეს კიდეც. ამის შემდეგ ვიღაცამ შესძახა: „წინ!“ ეგზალტირებულმა ჯგუფმაც რადიოკომიტეტში შევარდნა ცადა. როგორც ჩანს, ეს იყო პროვოკაცია, რადგან რადიოკომიტეტის სახურავზე ავტომატებით შეიარაღებული უშიშროების თანამშრომლები ისხდნენ. სტუდენტებსაც ცეცხლი სწორედ მათ გაუხსნეს. ასე დაიღვარა პირველი სისხლი.

სტუდენტების დახვრეტამ მოთმინების ფიალა აავსო. პირველნი მათ საშველად იქვე მდგომი პოლიციელები მოცვივდნენ. მათ უბრალო მოქალაქეებიც მიჰყვნენ. ზოგმა ქვას წაავლო ხელი, ზოგმა – ჯაყვა დანას. შემდეგ საქმეში უკვე არმია ჩაერია. საბოლოოდ ყოველივე აჯანყებაში გადაიზარდა.

– უნგრეთში სტალინური ეპოქის შედეგად ბევრი უკმაყოფილება დაგროვდა. ამას არ შეიძლებოდა, არ ამოეხეთქა. სტუდენტების დახვრეტა მხოლოდ კატალიზატორი იყო, – წერს საბჭოთა მწერალი ილია ერენბურგი.

უნგრეთის აჯანყების მონაწილე, შემდგომში კი ქვეყნის პრეზიდენტი (1990-2000), არპად გენცი ამას მთლიანად ეთანხმება.

გენცი ხაზს უსვამს, რომ 1944-45 წლებში საბჭოთა კავშირმა უნგრეთის სრული ოკუპაცია განახორციელა. იალტის შეთანხმებით, ქვეყანაში თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ასე არ მოხდა, თუმცა თვით საბჭოთა ხიშტებქვეშ ჩატარებულ ე.წ. არჩევნებშიც კი, სადაც თავდაპირველად არაკომუნისტური პარტიებიც დაუშვეს, კომუნისტები დამარცხდნენ.

ამის შემდეგ გაიხსნა ე.წ. შეთქმულება, რომლის მეთაურადაც პრემიერი ფერენც ნადი (სოფლის წვრილ მესაკუთრეთა პარტიის ლიდერი) დაასახელეს. პარლამენტის არაკომუნისტი დეპუტატები დააპატიმრეს. ზოგი დახვრიტეს, ზოგიც საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. თავად ფერენც ნადმა თავი ამერიკის საელჩოს შეაფარა. შემდგომში მას უფლება მისცეს, უნგრეთი დაეტოვებინა. ის ემიგრაციაში გარდაიცვალა.

არჩეული პარლამენტი დაიშალა. მალე განმეორებითი არჩევნები ჩატარდა, სადაც მხოლოდ კომუნისტები მონაწილეობდნენ. კომუნისტურის გარდა, ყველა სხვა პარტია აიკრძალა. ასე დამყარდა უნგრეთში პროსაბჭოთა კომუნისტური დიქტატურა.

საბჭოთა ოკუპანტებმა დაარბიეს კათოლიკური ეკლესია, რომელსაც უნგრეთში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. კარდინალი მინდსენტი ციხეში გამოამწყვდიეს. უნგრული ტრადიციები დაცინვის საგნად გადაიქცა. სკოლებში ბავშვებს შთააგონებდნენ, რომ უნდა უყვარდეთ არა თავიანთი ისტორიული სამშობლო უნგრეთი, არამედ საბჭოთა კავშირი და ა.შ.

– აჯანყება უნგრეთში იყო გამოსვლა შელახული ეროვნული თავმოყვარეობის გამო. სხვა ყველაფერი (მატიაშ რაკოშის ხელისუფლებაში დაბრუნება ან რადიოკომიტეტთან სტუდენტების დახვრეტა) მხოლოდ დეტალებია. მათ ითამაშეს დამხმარე, მაგრამ არა გადამწყვეტი როლი, – წერს გენცი.

საბჭოთა პროპაგანდამ უნგრეთის აჯანყება „იმპერიალისტური დაზვერვების“ ინტრიგებით ახსნა. დღეს, როცა უამრავი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ასე არაა. აჯანყებამ როგორც სუკის, ასევე დასავლეთის დაზვერვებისთვისაც მოულოდნელად იფეთქა.

საბჭოთა აგენტი იშტვან საბო, რომელიც 1953-57 წლებში ვენაში მოქმედებდა, წერს, რომ უნგრეთში აჯანყების დაწყება ყველასათვის უდიდესი მოულოდნელობა იყო.

გერმანიის ფედერალური სადაზვერო სამსახურის იმჟამინდელი უფროსი რაინჰარდ გელენი თავის მემუარებში აღნიშნავს:

– ადენაუერმა საგანგებოდ გამომიძახა და მკითხა: რა ხდება უნგრეთში, ხომ არ არის ეს რუსების პროვოკაცია, რათა ვითომდა პარტიზანების ბაზების გასანადგურებლად დასავლეთ ევროპაში შემოიჭრნენ?

საბჭოთა კავშირმა აჯანყება სისხლში ჩახშო. ამ დროს დაიღუპა 2.668 უნგრელი მეამბოხე და 349 მშვიდობიანი მოქალაქე. საბჭოთა დანაკარგია 669 მოკლული, 1.258 დაჭრილი.

სასტიკად დაისაჯნენ აჯანყებულთა ლიდერები (ეროვნული გვარდიის მეთაური დუდაში და ა.შ.). დასაჯეს ის კომუნისტებიც, რომლებიც ხალხის მხარეს დადგნენ. მათ შორისაა უნგრეთის კომუნისტური მთავრობის მეთაური იმრე ნადიც, რომელიც საბჭოთა ოკუპანტებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

– ჩვენ არაფერი დაგვვიწყებია! ყველა გმირს ჯეროვან პატივს მივაგებთ, – აცხადებს ვიქტორ ორბანი.

ნიკა თევზაძე

ეშტონ კარტერი: „ერაყის სუვერენიტეტის შენარჩუნება აუცილებელია“

ერაყის პრემიერი აბადი აშშ-ის თავდაცვის მინისტრ ეშტონ კარტერს შეხვდა.

საუბრის შემდეგ კარტერმა განაცხადა,

რომ ერაყი არავითარ გარეშე დახმარებას არ საჭიროებს და მოსულიდან ისლამისტებს საკუთარი ძალებით განდევნის.

ამერიკელთა მხარდაჭერის შემდეგ აბადიმ უარყო თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის წინადადება დახმარების შესახებ.

– მოსული ერაყის ტერიტორიაა და ის ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ! – განაცხადა მან.

ამის შემდეგ ერაყის არმია მოსულში შევიდა.

ერაყელი სამხედროები ქალაქის გარეუბნებს უკვე მთლიანად აკონტროლებენ, ერაყის პრემიერმა კი განაცხადა, რომ მალე ქალაქის გათავისუფლების გადამწყვეტი ეტაპი დაიწყება.

ოლეგ სენცოვი საჯარიმო იზოლატორში გადაიყვანეს

რუსულ ტყვეობაში მყოფი უკრაინელი კინორეჟისორი ოლეგ სენცოვი საჯარიმო იზოლატორში გადაიყვანეს.

სენცოვს ბრალად დისციპლინის დარღვევას სდებენ, თუმცა უკრაინელი ექსპერტი ფისენკო ვარაუდობს, რომ ეს მხოლოდ საბაბია.

– რუსებს სურთ, აიძულონ სენცოვი, არარსებული დანაშაული აღიაროს, – ამბობს ფისენკო.

საჯარიმო იზოლატორში გადაყვანაც, ექსპერტის აზრით, ამ მიზნით მოხდა.

რეალურია იმის საფრთხე, რომ სენცოვის მიმართ წამებას გამოიყენებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

გაერო: ალეპოში სამხედრო დანაშაულია ჩადენილი

შედგა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოს სხდომა.

საუბრის ძირითადი თემა სირიაში, კერძოდ, ალეპოში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მსჯელობა ოთხსაათ-ნახევარს გაგრძელდა. ითქვა, რომ ალეპოში ჩადენილია სამხედრო დანაშაული, რასაც საგანგებო გამოძიება სჭირდება. საამისოდ მომზადდა სპეციალური რეზოლუცია, რომელსაც გაეროს სესიაზე გაიტანენ.

აუცილებელია შეიქმნას დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია, რომელიც გამოიძიებს ყველაფერს, რაც ალეპოში მოხდა.

ამასობაში რუსეთი სირიის მთელი ტერიტორიის ტერორისტებისგან გაწმენდას აპირებს.

კრემლი ასეთებად მიიჩნევს როგორც ალ-ნუსრას, ასევე აშშ-ის მფარველობაში მყოფ სირიის თავისუფალ არმიასა და პროთურქულ მეამბოხეებს, რომელთაც თურქეთი უჭერს მხარს.

– ჩვენ არც სირიის დაშლას, არც ასადის ხელისუფლებიდან წასვლას და არც ერაყის ტერიტორიაზე რაიმე უცხო ქვეყნის არმიის ყოფნას არ დავუშვებთ! – იმუქრება პუტინის პრესმდივანი პესკოვი.

მან შეიძლება თქვენ სიკვდილისგან გადაგარჩინოთ!!!

მხუთავი გაზის (CO – კარბონ-მონოქსიდის) დეტექტორი.

CO – ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის. მას არ აქვს არც გემო, არც სუნი, არც ფერი და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს სიკვდილიც კი!

ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში CO-თი ინტოქსიკაციის 1500-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, არაოფიციალური მონაცემები კი გაცილებით მეტია. 2015-16 წლებში ლეტალური შედეგით რამდენიმე ათეული შემთხვევა აღირიცხა.

დღეს ეს საფრთხე თითქმის ყველგანაა ჩასაფრებული, თუმცა ჩვენ გთავაზობთ მისი გაკონტროლებისა და თავიდან აცილების საშუალებასCO – კარბონ-მონოქსიდის დეტექტორს. იგი ზომავს ოთახში მხუთავი აირის კონცენტრაციის დონეს და სახიფათო ზღვარის მიღწევის შემთხვევაში ხმოვანი სიგნალით (85 დბ. სიმძლავრით) გატყობინებთ საშიშროების შესახებ.

ფასი: 50.00 ლარი.
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79.
ტელ.: 596 20 30 20, 598 37 30 19

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვანკომპანიასესაჭიროებაუფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

შუქურამ შანსი გამოიჩინა, დილა და ბათუმი უგოლოდ დაშორდნენ

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

თეთრი ჯგუფი

შუქურა-გურია 3:1

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 კირკიტაძე (25), 1:1 შალამბერიძე (45), 2:1 კომახიძე (47), 3:1 ჭანუყვაძე (90)

შუქურა: ჯიოევი, ადამაძე, ჯაფარიძე, მირცხულავა, ჩაჩუა, არზიანი (მამულაშვილი 85), გურული (ჭანუყვაძე 80), კუტალია, შალამბერიძე (ბერიაშვილი 78), კომახიძე, ჯეფინიო

გურია: იმერლიშვილი, მეგრელიშვილი, გელაშვილი (კაბორე 53), ჩადუნელი, ნოზაძე, მოროზენკო, კირკიტაძე, დიასამიძე, ჭეჭელაშვილი (სტეფნიაშვილი 73), დინიზი (იური 60), მურაშოვი

მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა ქობულეთის შუქურამ. აჭარლებმა „ჩელე არენაზე“ უშუალო კონკურენტი, ლანჩხუთის გურია მიიღეს და 3:1 დაამარცხეს მეტოქე.

მართალია, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ ქობულეთელები ამან არ დააბნია და დარჩენილ დროში ლანჩხუთელთა კარში 3 უპასუხო გოლის გატანა მოახერხეს. ამ გამარჯვებით გია გურულის გუნდმა 10 ქულა მოაგროვა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. გურულებმა კი, პირიქით ამ მარცხით კიდევ უფრო გაირთულეს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება.

სატურნირო ცხრილი:

1.ჩიხურა	8	5	2	1	15-8	17
2.დინამო (თბ)	8	3	4	1	11-5	13
3.ლოკომოტივი	7	3	2	2	7-8	11
4.შუქურა	9	2	4	3	9-11	10
5.ტორპედო	8	2	3	3	8-8	9
6.გურია	9	2	2	5	7-14	8
7.ცხინვალი	7	2	1	4	10-13	7

ნითელი ჯგუფი

დილა-დინამო (თბ) 0:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა: მუჯირიშვილი, სალუქვაძე, ღონღაძე, დან კოვა, ლომიძე, ეტოუ, სამხარაძე, ერისთავი (ჩახვაშვილი 88), წიქარიძე (ცაწკრიალაშვილი 46), გამცემლიძე (ბიასსადილა 68), ნონიკაშვილი

დინამო: ტიმოფეევი, მგელაძე, სუხიაშვილი, გეგეჭკორი, ტვილდიანი, შონია, ქავთარაძე, გოგიტიძე, გორელიშვილი (ჭკუასელი 78), ფონიავა (თევდორაძე 58), კვანტალიანი (ლობჟანიძე 65)

გორის დილამ საკუთარ მოედანზე ბათუმის დინამოს უმასპინძლა. გუნდების სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მატჩის განმავლობაში ორივე გუნდის კართან ძალიან ცოტა სახიფათო მომენტი შეიქმნა და შეხვედრაც გატანილი გოლების გარეშე 0:0 დასრულდა.

„თენგიზ ბურჯანაძეზე“ გამართულ დაპირისპირებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ესწრებოდნენ.

სატურნირო ცხრილი:

1.სამტრედია	8	5	3	0	16-6	18
2.კოლხეთი	8	5	0	3	7-8	15
3.დინამო (ბთ)	9	3	5	1	12-4	14
4.დილა	8	3	1	4	10-10	10
5.საბურთალო	7	2	3	2	7-7	9
6.ზუგდიდი	8	2	0	6	4-14	6
7.სიონი	8	1	2	5	8-15	5

სუპერლიგის მეორე ტური სკანდალურად დაიწყო

საკალათბურთო სუპერლიგის მე-2 ტური ნაკლულად გაიმართა.

მატჩი კაქტუსი-მგზავრები ჩაიშალა, რადგან მატჩზე დანიშნულმა მაგიდის მსაჯებმა გამიზნულად თქვეს უარი მატჩის მომსახურებაზე – ისინი ხელფასის დავალიანებას აპროტესტებენ.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მაგიდის მსაჯების საქციელის გამო ბოდიშს უხდის მატჩის მონაწილე კლუბებს და გულშემატკივრებს. ფედერაცია განიხილავს აღნიშნულ ფაქტს და დასჯის მატჩის შეგნებულად ჩაშლაში ყველა მონაწილე პირს, დადგენილი წესის შესაბამისად.

კაქტუსი-მგზავრების მატჩის გამართვის ხელახალი თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

ქუთაისი-სოხუმი 103:91

(25:27, 24:15, 26:25, 28:24)

საკალათბურთო სუპერლიგის მეორე ტური ქუთაისში დაიწყო, სადაც სათამაშოდ სოხუმი ჩავიდა. ჩემპიონმა გასული სეზონის ნახევარფინალისტს უმასპინძლა და ანგარიშით 103:91 დაამარცხა.

სოხუმელებმა პირველ ტურში რუსთავთან წააგეს, ხოლო ქუთაისმა სუპერლიგის დებიუტანტ კაკტუსთან შეხვედრა 3 ქულით დათმო. შესაბამისად, ორივე გუნდი პირველი მოგების მოლოდინში იყო და საბოლოოდ მასპინძლებს გაუმართლათ.

სოხუმმა რამდენიმე დღის წინ ამერიკელი გამთამაშებელი ფილიპ მილერი დაიმატა, რომელმაც ვაჟა კვარაცხელიას გუნდს სისწრაფე შემატა, რისი წყალობითაც დღევანდელი მატჩის პირველი მეოთხედი სტუმრებმა 27:25 მოიგეს. მეორე პერიოდში ქუთაისელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა მოახერხეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 49:42.

ამის შემდეგ მასპინძლებმა თამაში დააბალანსეს და მეტოქეს გარდატეხის მოხდენის საშუალება აღარ მისცეს. მესამე პერიოდი 26:25 დასრულდა და ქუთაისელები გადამწყვეტ მეოთხედს 8-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ. შეხვედრა ისე ჩამთავრდა, სოხუმელებმა ვითარების შეცვლა ვეღარ მოახერხეს და შეხვედრა მასპინძელთა 12-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილ ქუთაისს 25 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა. 19 ქულა და 10 პასი გიორგი ცინცაძემ დააგროვა, კიდევ ერთი ორმაგი დუბლი ბექა ბექაურის ანგარიშზეა, რომელსაც 17 ქულა და 13 მოხსნა ჰქონდა, ხოლო ვახტანგ ქადარიას ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

სოხუმში 17 ქულით გიორგი ჯგერენაია გამოირჩა, 14-14 ქულა მერაბ ბოქოლიშვილმა და ქუთაისიდან გადასულმა დავით ბარბაქაძემ მიითვალეს.

რუსთავი-ოლიმპი 82:68

(12:20, 19:16, 24:14, 27:18)

რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა რუსთაველებმა ოლიმპს უმასპინძლა და გუნდური თამაშის ხარჯზე მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

მატჩი 3 მეოთხედის განმავლობაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ უმეტესწილად სტუმრები ლიდერობდნენ. მასპინძლები მესამე მეოთხედის ბოლოდან აღზევდნენ ლეგიონერების – კასპერბაუერისა და სპანოლოს კარგი სროლების ხარჯზე, რომელსაც თან გუნდური თამაშიც დაერთო და ბოლო მეოთხედში 20 ქულიან უპირატესობას დაეუფლნენ და საბოლოოდ ქვემოქართლელებმა 82:68 იმარჯვეს.

გამარჯვებულებს 22 ქულით კასპერბაუერმა ულიდერა, მეორე ლეგიონერმა სპანოლომ 21 ქულასა და 12 მოხსნას მოუყარა თავი, გამორჩეული იყო კრისტოფერ ლიიც, მან თავის ანგარიშზე 14 ქულა და 7 პასი მიიწერა. ყველაზე მაღალმა ქართველმა კალათბურთელმა და რუსთავის ცენტრმა სერგო ათუაშვილმა 10 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

22 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიემიერ ლიგა

ბორნმუთი-ტოტენჰემი 0:0
არსენალი-მიდლსბრო 0:0
ბარნლი-ევერტონი 2:1
ჰალი-სტოკი 0:2
ლესტერი-კრ.პალასი 3:1
სუონსი-უოტფორდი 0:0
ვესტ ჰემი-სანდერლენდი 1:0
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	9	6	2	1	19-9	20
2.ლივერპული	9	6	2	1	20-11	20
3.სიტი	8	6	1	1	19-8	19
4.ტოტენჰემი	9	5	4	0	13-4	19
5.ჩელსი	8	5	1	2	15-9	16
6.ევერტონი	9	4	3	2	13-8	15
7.მანჩესტერი	8	4	2	2	13-8	14
8.საუთჰემპტონი	8	3	3	2	10-7	12
9.უოტფორდი	9	3	3	3	13-13	12
10.ბორნმუთი	9	3	3	3	12-12	12
11.კრ.პალასი	9	3	2	4	12-12	11
12.ლესტერი	9	3	2	4	11-15	11
13.ვესტ ბრომვიჩი	9	2	4	3	10-10	10
14.ბარნლი	9	3	1	5	8-13	10
15.ვესტ ჰემი	9	3	1	5	10-17	10
16.სტოკი	9	2	3	4	9-16	9
17.მიდლსბრო	9	1	4	4	7-11	7
18.ჰალი	9	2	1	6	8-22	7
19.სუონსი	9	1	2	6	8-15	5
20.სანდერლენდი	9	0	2	7	6-16	2

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-ფულემი 1:0
ბრენტფორდი-ბარნსლი 0:2
ბრისტოლი-ბლექბერნი 1:0
ჰადერსფილდი-დერბი 1:0
ნიუკასლი-იფსვიჩი 3:0
ნორვიჩი-პრესტონი 0:1
როტერჰემი-რედინგი 0:1
უენსდი-ქარ 1:0
უიგანი-ბრაიტონი 0:1
ვულვზი-ლიდსი 0:1
ნოტინგემი-კარდიფი 1:2

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ესპანიოლი-ეიბარი 3:3
ვალენსია-ბარსელონა 2:3
სოსიედადი-ალავესი 3:0
გრანადა-ხიხონი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	9	6	1	2	29-12	19
2.ატლეტიკო	8	5	3	0	21-3	18
3.რეალი	8	5	3	0	22-8	18
4.სევილია	8	5	2	1	16-12	17
5.ვილიარეალი	8	4	4	0	14-4	16
6.ბილბაო	8	5	0	3	13-10	15
7.სოსიედადი	9	4	1	4	14-12	13
8.ლას პალმასი	8	3	3	2	16-13	12
9.ეიბარი	9	3	3	3	14-13	12
10.ბეტისი	9	3	2	4	11-19	11
11.ალავესი	9	2	4	3	9-11	10
12.ლეგანესი	8	3	1	4	9-13	10
13.სელტა	8	3	1	4	9-16	10
14.მალაგა	8	2	3	3	8-10	9
15.ვალენსია	9	3	0	6	13-18	9
16.ესპანიოლი	9	1	5	3	12-17	8
17.დეპორტივო	8	2	2	4	5-10	8
18.ხიხონი	9	2	2	5	7-18	8
19.ოსასუნა	9	1	3	5	11-19	6
20.გრანადა	9	0	3	6	8-23	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ელჩე-კორდობა 1:1
ხეტაფე-უესკა 1:1
რეუსი-ლუგო 2:2
ნუმანსია-სევილია ბ 1:2
რაიო-ხირონა 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი 0:3
ჰერტა-კიოლნი 2:1
ინგოლშტადტი-დორტმუნდი 3:3
დარმშტადტი-ვოლფსბურგი 3:1
ფრაიბურგი-აუგსბურგი 2:1
ბაიერნი-გლადბახი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	8	6	2	0	20-4	20
2.ჰერტა	8	5	2	1	14-9	17
3.ჰოფენჰაიმი	8	4	4	0	16-10	16
4.კიოლნი	8	4	3	1	13-6	15
5.ლაიპციგი	7	4	3	0	12-5	15
6.დორტმუნდი	8	4	2	2	20-10	14
7.აინტრახტი	8	4	2	2	13-8	14
8.ფრაიბურგი	8	4	0	4	10-12	12
9.მაინცი	7	3	2	2	14-12	11
10.გლადბახი	8	3	2	3	10-12	11
11.ლევერკუზენი	8	3	1	4	11-12	10
12.აუგსბურგი	8	2	2	4	7-11	8
13.დარმშტადტი	8	2	2	4	8-15	8
14.ვერდერი	7	2	1	4	9-18	7
15.ვოლფსბურგი	8	1	3	4	5-11	6
16.შალკე	7	1	1	5	7-11	4
17.ინგოლშტადტი	8	0	2	6	7-17	2
18.ჰამბურგი	8	0	2	6	2-15	2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-დინამო 0:0
ზანდჰაუზენი-ზ.პაული 3:0

იტალია. სერია ა

სამპდორია-ჯენოა 2:1
მილანი-იუვენტუსი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	9	7	0	2	17-6	21
2.მილანი	9	6	1	2	16-11	19
3.რომა	8	5	1	2	19-10	16
4.ტორინო	8	4	2	2	17-9	14
5.ლაციო	8	4	2	2	14-8	14
6.ნაპოლი	8	4	2	2	15-9	14
7.კიევო	8	4	1	3	10-9	13
8.კალიარი	8	4	1	3	13-14	13
9.ჯენოა	8	3	3	2	9-7	12
10.სასუოლო	8	4	0	4	11-13	12
11.ინტერი	8	3	2	3	10-10	11
12.ბოლონია	8	3	2	3	9-12	11
13.სამპდორია	9	3	2	4	10-12	11
14.ატალანტა	8	3	1	4	10-12	10
15.ფიორენტინა	7	2	3	2	6-6	9
16.პესკარა	8	1	4	3	8-11	7
17.უდინეზე	8	2	1	5	7-14	7
18.პალერმო	8	1	3	4	5-12	6
19.ემპოლი	8	1	2	5	2-11	5
20.კროტონე	8	0	1	7	6-18	1

იტალია. სერია ბ

ბარი-ტრაპანი 3:0
ბენევენტო-პერუჯა 0:0
ვერონა-პრო ვერჩელი 3:0
ლატინა-პიზა 1:1
ნოვარა-აველინო 1:0
სალერნიტანა-ენტელა 1:1
სპალი-კარპი 3:1
ტერნანა-ჩეზენა 1:1
ვიჩენცა-ფროზინონე 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-გენგამი 1:3
ბორდო-ნანსი 1:1
ლილი-ბასტია 2:1
დიჟონი-ლორიანი 1:0
ანჟე-ტულუზა 0:0
ნანტი-რენი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ნიცა	9	7	2	0	16-5	23
2.მონაკო	10	7	1	2	29-14	22
3.პსჟ	9	6	1	2	19-7	19
4.ტულუზა	10	5	3	2	14-7	18
5.გენგამი	10	5	2	3	13-9	17
6.რენი	10	5	2	3	12-12	17
7.ბორდო	10	4	3	3	13-12	15
8.ანჟე	10	4	2	4	10-10	14
9.ლიონი	10	4	1	5	16-14	13
10.სტ.ეტიენი	9	3	4	2	11-9	13
11.მეცი	9	4	1	4	9-16	13
12.ბარსელი	9	3	3	3	11-10	12
13.დიჟონი	10	3	3	4	13-14	12
14.ნანტი	10	3	2	5	7-11	11
15.ბასტია	10	3	1	6	8-10	10
16.ლილი	10	3	1	6	10-16	10
17.კაენი	9	3	1	5	9-17	10
18.მონპელიე	10	2	4	4	14-23	10
19.ნანსი	10	1	3	6	5-13	6
20.ლორიანი	10	2	0	8	6-16	6

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-რეიმსი 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-უტრეხტი 0:1
პსვ-სპარტა 1:0
როდა-დენ ჰააგი 1:1
იგლზი-ტვენტე 0:2
ექსელსიორი-ზვოლე 0:2

ჰოკტგაღია. ჰიმეიჰა ლიგა

ფეირენშე-ვიტორია 1:1
სპორტინგი-ტონდელა 1:1
პორტუ-აროუკა 3:0

ხესეთი. ჰიმეიერლიგა

ტომი-ანჟი 0:3
უფა-როსტოვი 0:0
ურალი-სპარტაკი 0:1
ტერეკი-რუბინი 3:1

შოტლანდია. ჰიმეიერლიგა

ინვერნესი-კილმანროკი 1:1
პარტიკი-როსი 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ვადუცი-თუნი 2:3
ლუგანო-ბაზელი 2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-ადმირა 2:0
რიდი-ვოლფსბერგერი 0:1
შტურმი-მატერსბურტგი 2:2

ბელგია. 1 დივიზიონი

ვესტერლო-შარლერუა 0:0
მეხელენი-მუსკრონი 2:0
ვარეგემი-ლოკერენი 2:0
ოსტენდე-კორტრაიკი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-პანიონიოსი 0:0
პლატანიასი-ქანთი 0:1
კერკირა-ასტერასი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანტალია-ბურსა 0:2
აკჰისარი-ადანა 1:0
გალათასარაი-ტრაბზონი 0:1

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

პრჟირბრჟამი-იაბლონეცი 2:4
კარვინა-ტეპლიცე 1:4
ბოლესლავი-ბრნო 3:3
სლავია-სლოვაცკო 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-ლენჩნა 1:2
სლასკი-კრაკოვია 2:2
ლეგია-ლესი 2:1

უკრაინა. ჰიმეიერლიგა

კარპატი-სტალი 0:1
ვოლინი-დნიპრო 3:0

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-სოდერიისკე 2:0
ვიბორგი-სილკებორგი 1:3

სილკებორგის სამივე გოლი დავით სხირტლაძემ გაიტანა

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ესტერსტუნდი 0:3

ნორვეგია. ტიპელიგა

სტაბეკი-სარპსბორგი 1:2
ბრანი-მიოლდე 2:1

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ძიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ძ-ნი მარიამი

ნიკოლაძისეული ქალაქის დამაშვრალი ხელმძღვანელი

მჩქეფარე ცხოვრების განვლილი დიდი გზა

პეტრე ბერაია დაიბადა 1946 წლის 24 ოქტომბერს ზღვისპირა ქალაქ ფოთში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის საზღვაო საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტისა და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობებით. მისი ცხოვრების სასწავლო, შრომითი, სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეობის გზა ყველა პერიოდში უშუალო კავშირშია საზღვაო საქმიანობასთან, რომელიც მან განვლო რიგითი მეზღვაურიდან ქ.ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავსადგურის მეზღვაურად, ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, ქ.ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე „გორი“, „თბილისი“, „ქუთაისი“ კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ფოთის ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად, 1985-1990 წლებში ქ.ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1991-92 წლებში ცნობილი მოვლენების გამო დროებით უმუშევარია. 1993 წლიდან საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მრჩეველია საზღვაო საკითხებში. 1994 წელს ქ.ფოთში ჩამოაყალიბა სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სადაც არჩეული იყო პრეზიდენტად, ხოლო შემდეგ საპატიო პრეზიდენტად.

1995 და 1999 წლებიდან მოყოლებული ქალაქის მოსახლეობის რჩეულია – ორი მოწვევის პარლამენტის წევრი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრად და მაჟორიტარი დეპუტატების საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარედ, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრად, შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრად, დიდ ბრიტანეთში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო და საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრად.

ყოველივე ამან არსებითად განსაზღვრა მისი მეცნიერულ ინტერესთა სფერო – საზღვაო ტრანსპორტი და აქ არსებული ეკონომიკური პრობლემები. პეტრე ბერაიას მოღვაწეობაში ნაყოფიერად არის გადაჯაჭვული სამეურნეო, პოლიტიკური და სამეცნიერო საქმიანობა. ის არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემებია განხილული. მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის საზღვაო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის უშუალო ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ქვეყნის საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა. მიღებულ იქნა „საზღვაო კოდექსი“, საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ“. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ საქართველოს დაკანონებული არ ჰქონდა საზღვაო საზღვრები არც თურქეთთან, არც რუსეთთან, არ იყო განსაზღვრული კონტინენტალური შელფი, ეკონომიკური ზონა. ასევე კანონი „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“, „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“. მისი, როგორც ქ.ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, პირადი უშუალო ინიციატივით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და ქ.ფოთს დაუკანონდა სანავსადგურო მოსაკრებელი (ნ.ნიკოლაძის მაშინდელი 1894 წელს საფუთე გადასახადის მსგავსად), რომლითაც ქალაქის ბიუჯეტი, 1996 წლიდან მოყოლებული, 2003 წლამდე დამატებით იღებდა მილიონნახევარ ლარს, რაც ხმარდებოდა საზღვაო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ბატონი პეტრე საზღვაო ტრანსპორტისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ის არის ქ.ფოთის საპატიო მოქალაქე, ასევე აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქ.ლაგრანჟეს საპატიო მოქალაქე, არჩეული იყო საზოგადოება „კუს ტბის“ გამგეობის თავმჯდომარედ.

ბატონ პეტრეს, ჩვენი მეგობრობის მაესტროს, სულითა და გულით, ყველა მიმართულებით ინტელიგენტს, შეუსრულდა 70 წელი. საამაყო ოჯახთან ერთად, ქალბატონ დალისთან, შვილებთან ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებსა და სიმრავლეს.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ბატონო პეტრე!

ოთარ კვესიტაძე, ამირან გამყრელიძე, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ელიზბარ ლომინაძე, გია ციხისთავი, საველი მარსაგიშვილი, ბესიკ კილასონია, თემურ კალანდაძე, ილია ჭანუყვაძე, თემურ გოცაძე, ოთარ ზუმბურიძე, ტარიელ ღვაბერიძე, თენგიზ კალანდაძე, ჯამბულ წულაია, მერაბ ზამბახიძე

მკურნალი მენიმა

თაფლი და ვაშლის ძმარი კალიუმის საბადოა

ასაკში შესვლასთან ერთად მეტი რაოდენობით უნდა მიიღოთ კალიუმი (საჭმელთან ერთად). როგორც წესი, საჭიროა ორჯერ გაიზარდოს კალიუმის მიღება თაფლის, ახალი ბოსტნეულის, ხილის, კენკრის სახით. კალიუმი საჭიროა არამარტო ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, არამედ კალიუმსა და ნატრიუმს შორის ბალანსის დასაცავად.

წითელი წიწაკა კალიუმის მდიდარი წყაროა. იგი შეიძლება კერძში ვიხმაროთ დღეში ერთხელ ან ორჯერ.

კალიუმის კიდევ ერთი წყაროა წყალში გახსნილი თაფლი და ვაშლის ძმარი.

ყურძნის, შტოშის ან ვაშლის ერთი ჭიქა წვენი დღეში ორჯერ ორგანიზმს უზრუნველყოფს საჭირო კალიუმით.

ყურძნის წვენი სწრაფად კლავს წყურვილს, მაშინაც კი, როცა მას მცირე რაოდენობით დალევთ. მისი სწრაფი მოქმედება ამით აიხსნება, რომ იგი უმალვე, გადამუშავების გარეშე, მიდის სისხლში და მას ორგანიზმი სწრაფად ითვისებს.

კალიუმი არეგულირებს კალციუმის ცვლას ორგანიზმში. მოტეხილობისა და ძვლის ცუდი შეხორცების შემთხვევაში ეფექტურია მურა წყალმცენარის თითო აბის მიღება ყოველ ჭამის დროს. მურა წყალმცენარე კალიუმის კარგი წყაროა.

რომელი მცენარეები ამცირებენ კიბოს უჯრედების ზრდას

1. ქრისტესისხლა – ნედლი მცენარე გაატარეთ ხორცსაკეპში და გამოწურეთ წვენი. დააკონსერვეთ იგი არაყით 1:1 და შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

2. ნაცარქათამას ფესვი (გადახრილი პეონი, იორდასალამი). დააქუცმაცეთ 100 გრამი ფესვი და დაასხით 1 ლიტრი არაყი ან 75%-იანი სპირტი. სვით 0,5-1 ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

3. თეთრი ფითრი. ნედლი მცენარე დააქუცმაცეთ, გაავსეთ ლიტრიანი ქილის 1/3 ქილა შეავსეთ არყის ბოლომდე. დააყენეთ 30 დღე, შემდეგ გაწურეთ და დარჩენილი მცენარე გამოწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, მიაყოლეთ წყალი.

ამ ბალახების ნაყენები მონაცვლეობით მიიღეთ ყოველ ერთ-ორ კვირაში ერთხელ. სასურველია, ერთ-ერთი წყლიანი ნაყენი ან წვენი მიიღოთ საღამოთი, ვახშმის წინ. მკურნალობის კურსია არა უმეტეს სამი თვისა. დაავადების ლიკვიდაციის შემდეგ სასურველია, სვათ ერთ-ერთი ნაყენი ერთხელ დღეში, ან რამდენიმე მცენარის ჩაი, გემოვნების მიხედვით.

კიბოს საწინააღმდეგო საშუალებაა ზეითუნის ზეთი. პროფილაქტიკისთვის ორ-ორი სუფრის კოვზი დღე-ღამეში.

სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას იჩენს კიტრის მწარე ჯიშების გამოყენება, ასევე ტყის თხილისგან დამზადებული საცხის გარეგანი ხმარებაც.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალა. 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ბალახი ხარშეთ 5-7 წუთი 0,5 ლიტრ წყალში, გააცივეთ და გაწურეთ. სვით დღის განმავლობაში თანაბარი ულუფებით.

ბრტყელეკალას 3 დაფხვნილ ყვავილს დაასხით 0,4 ლიტრი მდუღარე წყალი, დააყენეთ 1 საათი, გაწურეთ. სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა 4-ჯერ დღეში. 25-30 დღის განმავლობაში.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალას ნედლი ფოთლების წვენს სვამენ თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში 30 დღის განმავლობაში.

პროპოლისი კიბოს წინააღმდეგ

სახალხო მედიცინა პროპოლისს ურჩევს ავთვისებიან სიმსივნეთა შემთხვევაში ოპერაციული მკურნალობისა და ქიმიოთერაპიის შემდეგ.

ქიმიო და სხივური თერაპია წარმოადგენს ძლიერ სამკურნალო საშუალებებს, მაგრამ იგი დამღუპველად მოქმედებს არამარტო ავთვისებიან უჯრედებზე, არამედ სრულიად ჯანმრთელებზეც, პროპოლისი კი დამღუპველ მოქმედებას იჩენს მხოლოდ კიბოს უჯრედების მიმართ. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ონკოლოგიური ავადმყოფების მიერ პროპოლისის შემცველი პრეპარატების მიღებისას ხშირად მნიშვნელოვნად უმჯობესდება მათი საერთო მდგომარეობა, ძილი, შრომისუნარიანობა, საჭმლის მომნელებელ ორგანოთა მუშაობა, იმატებს მადა, ხანგრძლივდება სიცოცხლე. რიგი მეცნიერებისა თვლის, რომ პროპოლისი არამარტო დადებითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე და ახდენს ორგანიზმის მობილიზებას საშიში დაავადებებისადმი საბრძოლველად, არამედ არჩევითად მოქმედებს კიბოს უჯრედებზეც და ანადგურებს მათ.

❖ ❖ ❖

ჟოლოს სამკურნალო და კოსმეტიკური თვისებები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდანაა ცნობილი. ამ კენკრაში უხვადაა სასარგებლო ნივთიერებები, პექტინები, ორგანული მჟავები, ვიტამინები. მასში შემავალი ვიტამინები ამაგრებს ფრჩხილებს და თმის ძირებს, ორგანიზმიდან გამოაქვს ჭარბი სითხე, ამაგრებს შემაერთებელ ქსოვილს. ამ თვისების გამო, ჟოლო მეტად სასარგებლოა ცელულიტის საწყის სტადიაში.

❖ ❖ ❖

ზეთისხილი იცავს გულს და სისხლძარღვებს, დილით მიირთვით 5 6 ცალი ზეთისხილი ან დალიეთ 1 სუფრის კოვზი ზეთისხილის ზეთი. ზეთისხილი ამარაგებს სისხლს მეტად მნიშვნელოვანი მჟავებით, მაგალითად, ომეგა 3 ით და სხვა ნივთიერებებით, იგი ეფექტიანად იცავს ორგანიზმს გულ სისხლძარღვთთა სისტემის პათოლოგიისაგან.

❖ ❖ ❖

მარწყვი არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, წინააღმდეგობას უწევს ინფექციის გამომწვევ მიკრობებს, სასარგებლოა ფარისებრი ჯირკვლის მრავალი პათოლოგიის დროს. მარწყვის შემადგენლობაში მაგნიუმის ჭარბი შემცველობა აძლევს მას იმის უნარს, რომ ხელი შეუწყოს ცხიმების წვას.

❖ ❖ ❖

ლურჯი ეკალი მინდორში იზრდება, სიმაღლით შეიძლება მტკაველს მიაღწიოს. ეგზემის მკურნალობისათვის საჭიროა ლურჯი ეკლის დანაყვა; მიღებულ მასას მოვზელთ უმარილო ღორის ქონში და ასე წავისვამთ მტკივან ადგილზე. დაავადება მორჩება.

ასტროპროგნოზი

24 ოქტომბრისათვის

ვერძი – სამსახურსა და პირად ცხოვრებაში უსიამოვნებას შეხვდებით. საკუთარი მოვალეობები უდიდესი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. **კურო** – ახლობლებთან ურთიერთობისას მოთმინება გმართებთ. კონფლიქტი მხოლოდ გულახდილი საუბრით აღმოიფხვრება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. **კირჩხიბი** – დაძაბული ხართ. ეცადეთ, საკუთარი პოზიცია დაიცვათ. მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა მეგობრებს მიანდეთ. **ლომი** – ყოველმხრივ დადებითი დღეა. ბიზნესში და ხელმძღვანელობასთან აქტიურობა გაამართლებს. **ქალწული** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **სასწორი** – იფრთხილეთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. დიდია მოტყუების ალბათობა. **ღრიანცელი** – გეგმები გეცვლებათ. შემოთავაზებულ წინადადებაზე უარის თქმა მოგიწევთ. **მშვილდოსანი** – მაცდურ შემოთავაზებას უცებ ნუ მიიღებთ. სანამ რამეს გადაწყვეტდეთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – თავმდაბლად იმუშავეთ. ზედმეტი ინიციატივის გამოჩენა საჭირო არ არის. **მერწყული** – უკმაყოფილო ხართ. ინტუიცია სუსტდება. კარგი იქნება, თუ რთულ სიტუაციაში რჩევისთვის ჭკვიან ადამიანს მიმართავთ. **თევზები** – თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჩინეთში სამთვალიანი და ორპირიანი გოჭი დაიბადა

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაიბადა გოჭი, რომელსაც სამი თვალი და ორი პირი აქვს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს.

– როდესაც ის პირველად ვნახე, შემეშინდა, მაგრამ შემდეგ საკმაოდ მომხიბვლელად მომეჩვენა, – განაცხადა გოჭის პატრონმა ხე ჟუსიანმა.

ქალი გოჭს რძეს ბოთლიდან აძლევს, ვინაიდან მას დამოუკიდებლად კვება უჭირს. გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, რომ სამთვალიანი გოჭი სხვებზე გაცილებით პატარაა.

ბრიტანელ ტრანსგენდერ მოსწავლეს გოგონას ფორმით სიარულის უფლება მისცეს

ინგლისის საგრაფო კენტის მცხოვრებს, რომელსაც სურს, სქესი შეიცვალოს, სკოლის ხელმძღვანელობამ მოსწავლე გოგონას ფორმით სიარულის უფლება მისცა.

18 წლის ახალგაზრდამ ახალი სახელი ლილი მედიგანი დაირქვა და მეიდსტონის კათოლიკურ სკოლაში გოგონას ფორმაში გამოწყობილი მივიდა. მას შემდეგ, რაც მოზარდს მასწავლებლებმა საყვედური გამოუცხადეს, მან ინტერნეტში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მოსწავლის ინიციატივას მხარდაჭერა ათასზე მეტმა ადამიანმა გამოუცხადა და ამის შემდეგ მას გაკვეთილებზე გოგონას ფორმით დასწრების უფლება მისცეს. ასევე მედიგანმა გოგონებისთვის განკუთვნილ ტუალეტებსა და გასახდელებში შესვლის უფლებაც მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხელი



1. სოფელი გაგრის ზონაში; 2. ნახევარკუნძული საფრანგეთში; 3. წიგნების მაღაზიათა ქსელი; 4. „... ზორბა“ (კ/ფ); 5. რაიმე ნაწარმოების შესავალი; 6. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 7. ესპანური ხალხური ცეკვა; 8. გრძელი შალაშინი; 9. მაიაკოვსკის პიესა; 10. ძალიან ღარიბი; 11. ოქრო-ვერცხლის მოსევადების ტექნიკა; 12. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია; 13. რუმინეთის ფულის ერთეული; 14. ბერძნული ანბანის ასო; 15. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 16. იუპიტერის თანამგზავრი; 17. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 18. აბატ ფარიას ციხე; 19. საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირი, გაერთიანება; 20. შენობის შიგნითა პატარა ეზო საფრანგეთში; 21. კრემიანი ნამცხვარი; 22. ადამიანის მსგავსი ყველაზე დიდი მაიმუნი; 23. ჭეშმარიტად!; 24. წინწილ (ძველებური საკრავი); 25. მწვავე ... ანუ კაუსტიკური სოდა; 26. ... დელონი; 27. სანელებელი; 28. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 29. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 30. ვიოლინოზე უხმოდ. თითის ამოკვრით დაკვრა; 31. ჯაზპიანისტი ... კორეა; 32. ხორცის შეზავებული მოგრძო, შემწვარი კერძი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფუტბალი; 2. ბაიადერა; 3. რივერა; 4. „ხიხვი“; 5. ბირთვისი; 8. კურატორი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. სახიობა; 18. ჯეზვე; 20. რაგუ.

თარაზულად: 6. „ფუკუსიმა“; 7. გრინფისი; 8. კოზაკი; 9. ნაურუ; 10. ცერცვაძე; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. ქინქლა; 19. „ზვარტნოცი“; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. ლუტეცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გულანი; 2. სირმა; 3. ფლირტი; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. შევრო; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. ფაველა; 17. კუნაპეტი; 19. ეშელონი; 21. კუბრიკი; 22. პლანკი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. ამსტელი; 8. ილიადა; 10. ჰეკმანი; 12. აიეტი; 13. ჭავავი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ხახული; 23. ალმასი; 24. ბახი; 25. გელაპი; 26. კინო; 27. ეკოლოგი.

ჰონგ კონგში ყველაზე ხანდაზმული პანდა მოკვდა

ჰონგ კონგში 38 წლის ასაკში მოკვდა (ადამიანის 114 წელს შეესაბამება) მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული პანდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

დიდი პანდა, სახელად ცზია ცზია, ბოლო ორი კვირის მანძილზე საკვებს პირს აღარ აკარებდა და მისი წონა 71 კილოგრამიდან 67 კილოგრამამდე შემცირდა. 16 ოქტომბერს დილით მისი მდგომარეობა კრიტიკულამდე გაუარესდა და ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, ცხოველი დაეძინებინათ.

პანდა 1978 წელს დაიბადა. ორი წლის იყო, როდესაც ის სიჩუანის პროვინციაში ადამიანებმა სიკვდილს გადაარჩინეს და ნაკრძალში გადაიყვანეს.

ცზია ცზია კიდევ ერთ დიდ პანდასთან ერთად 1999 წელს ჰონგ კონგის ზოოპარკს აჩუქეს.

პატარა სპილო მწვრთნელის გადასარჩენად მდინარეში შევიდა

სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახულია ის მომენტი, თუ როგორ მიიჩქარის თავისი მომთვინიერებლის გადასარჩენად, რომელიც ჩქარმა დინებამ გაიტაცა, პატარა სპილო. ვიდეო, რომელიც ტაილანდის სპილოების ბუნებრივ პარკშია გადაღებული, იუთუბიზე გამოქვეყნდა.

როგორც აღმოჩნდა, 42 წლის კანადელმა დარიკ ტომპსონმა, რომელიც ცხოველებთან მუშაობს, ეს ყოველივე გაითამაშა.

– ეს იმას გვიჩვენებს, რომ თუ ჩვენ სიყვარულით ვუდგებით ცხოველებს, ისინიც ყოველთვის იგივეთი გვიპასუხებენ, – ნათქვამია ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში.

ავსტრალიელმა თეთრი ზვიგენი იატაკის საწმენდი ჯოხით მოიგერია

ავსტრალიაში მეთევზემ მის ნავზე თავდამსხმელი დიდი თეთრი ზვიგენი იატაკის საწმენდი ჯოხით მოიგერია.

მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი უითუბიზე იქნა გამოქვეყნებული და ის 28 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეო ჩანაწერისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, სამმეტრიანმა მტაცებელმა ნავის კორპუსზე უამრავი კბილის ნაკვალევი დატოვა, ასევე მან ძრავიან ნავს ერთ-ერთი დეტალი მოაკვნიტა.

ამერიკელებმა იოგაში სერფინგის დაფებზე ივარჯიშეს

ამერიკის კალიფორნიის შტატში იოგას მიმდევრებმა სერფინგის დაფებზე შეასრულეს ვარჯიშები. ვარჯიშისადმი მიძღვნილი სიუჟეტი ერთ-ერთმა ვიდეოსააგენტომ გამოაქვეყნა.

იოგას ჯგუფის ენთუზიასტები რეგულარულად ატარებენ ვარჯიშებს წყალზე, განაცხადა პროექტის დამფუძნებელმა სარა ტიფენფალერმა. ამგვარად ისინი ყველა კუნთს იმაგრებენ, ასევე მუშაობენ წონასწორობის დაცვასა და სხეულის მოქნილობაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

„ქერის უბანს“ ფილმ „ფესვების“ მელოდიის გაუპატიურებაში ადანაშაულებენ

ანიმაციური სერიალი „ქერის უბანი“ კვირაში ერთხელ გადის ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში და ქართველი პოლიტიკოსების პერსონაჟები ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე საუბრობენ.

ერთ-ერთმა ბოლო სერიამ მანუჩარ კაჭახიძის გაღიზიანება გამოიწვია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჟურნალ „მამულის“ რედაქტორ-გამომცემელია.

მანუჩარ კაჭახიძე:

– წესით, ნორმალურ ქვეყანაში კომპოზიტორ ალექსანდრე რაქვიაშვილის ოჯახი სასამართლოში უნდა უჩიოდეს „ქერის უბნის“ შემოქმედებით ჯგუფს ფილმ „ფესვების“ მელოდიის ასეთი გაუპატიურებისათვის. არის რაღაც სიწმინდეები, რასაც ხელი არ უნდა მოჰკიდო, თუნდაც ლაღი იუმორი იყოს ეს.

ყველაზე მეტად საწყენი ჩვენი ქვეყნის მუსიკოსების დუმილი იქნება ამ თავხედობაზე.

ნიკოლოზ რაჭველი, ვიცი, ამას გულთან მიიტან.

მიცვალებულს რომ თავის დაცვა არ შეუძლია, ამიტომ ვართ ცოცხლები.

ვანდალიზმი კინოთეატრ „ამირანში“

ქართველი მუსიკოსი ია საკანდელიძე კინოთეატრ „ამირანში“ მომხდარ ვანდალურ ფაქტზე წერს. მსახიობ კარლო საკანდელიძის შვილი „ამირანში“ კანის კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი ფილმის ნახვისას უსიამოვნო ფაქტის მომსწრე გახდა.

ია საკანდელიძე:

– „ამირანში“ ვიყავით, კანის გრანპრის მფლობელი ფილმი ვნახეთ, მაგრამ ახლა შთაბეჭდილების გასაზიარებლად არ ვწერ, თუმცა ძალიან მომეწონა ფილმი.....

მოკლედ, ფილმის დაწყების წინ, რეკლამების მერე, ეკრანზე კინოდარბაზის ადმინისტრაციის თხოვნაა, კინოს ჩვენების მერე ნაგავი, პოპკორნის ყუთები და პეპსის ჭიქები დარბაზიდან გასასვლელში ნაგვის ყუთში ჩაყარეთო, თითქოს ამის შეხსენებაც არ უნდა იყოს საჭირო...

ჰოდა, ფილმის დამთავრების შემდეგ აინთო შუქი და გავოგნდი... ყველაფერი ძირს ეყარა!... თანაც ძალიან ცოტა ადამიანი ესწრებოდა.... და რა ვქნა, რომ მიკვირს? ე.ი. რეალობას აცდენილი ვარ?.... ახლა უფრო ეს მაღელვებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 24 ოქტომბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეუი**" **07.00, 17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" **15.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.10** "x სტუდია" **01.10** მხ/ფ "**უკანასკნელ გზაზე**"

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **09.00** დ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები " **10.00** მხ/ფ "**ორი ძმა**" **11.35** დ/ფ "ფოტო" **12.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტო ჰებრინე**" **14.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **15.00, 18.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (3 ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჭამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი–თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**" **01.25** მხ/ფ "**რევოლვერი**" **03.15** მხ/ფ "**სიმპამაცის კანონი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00, 23.30, 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**პარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სანდალი**" **11.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00, 1.45** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**უცხო**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-სულიერი ბრძოლა მონასტერში **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაიფერონ** " **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება-"ნაძერნი ფიგურები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი **16.55** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მწვალებლობა **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მალე გაზაფხული მოვა**" **20.40** ძილი ნებისა "ხუთკუნჭულა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** პატერიკი-დოროთე **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვეშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "ავთო ვარაზი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბატიანა**" **10.00, 13.20** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.10, 1.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის ბევრია**" **16.00, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.10** სერ. "**გემი**" **21.55** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.55** "აკრედიტაციის გარეშე" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3679

ევრო — 2.5796

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8948

100 რუსული რუბლი — 3.7977

ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბრისთვის



თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის ქასთინგზე გადის

18 წლის ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი მსოფლიო მოდის სამყაროში კარგად არის ცნობილი. ლამაზმანი პარიზისა და მილანის მოდის კვირეულების აქტიური მონაწილეა. თაკო არმანის სახეა და მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების ფავორიტად არის მიჩნეული.

თაკოს 18 წელი რამდენიმე დღის წინ შეუსრულდა. ის ვიქტორია სეკრეტის ქასთინგში მიიღებს მონაწილეობას.

2016 წლის ვიქტორია სეკრეტის ჩვენებისთვის მოდელების შერჩევა სხვადასხვა ქვეყნიდან მიმდინარეობს. ათასობით ლამაზმანში შოუს ორგანიზატორები მხოლოდ რჩეულებს არჩევენ, რომლებიც იდეალურები უნდა იყვნენ და ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ.

ლევან სონღულაშვილის ნამუშევარი „სოთბის“ აუქციონზე მოხვდა

ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ლევან სონღულაშვილის „მედუზას“ შემდეგ სოთბის აუქციონზე მისი კიდევ ერთი ნამუშევარი მოხვდა.

„მონაზონი“ – ასე უწოდა მხატვარმა 2012 წელს შექმნილ ტილოს, რომელიც სოთბისში გამართულ გამოფენა-აუქციონზე 24 ოქტომბერს მარინა აბრამოვიჩთან, პატრიკ დემარშალთან და სხვებთან ერთად იქნება წარმოდგენილი.

4 ნოემბერს კი 24 წლის ლევან სონღულაშვილის შემოქმედება ბრუკლინის მუზეუმში გამოიფინება.

ბორის აკუნინი საქართველოში ვიზიტს აჯამებს

რუსი მწერალი ბორის აკუნინი საქართველოში ჩამოვიდა. ჩვენს ქვეყანაში დაბადებული გრიგოლ ჩხარტიშვილი მამის სამშობლოში პირველად 60 წლის ასაკში ჩამოვიდა და თავისი ემოციების შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა:

– როგორც იქნა, საქართველოში მოვხვდი, რომელზეც ამდენი ხანია, კარგი ამბები მესმის. ყველაფერი, რაც საქართველოზე აქამდე გამიგია, სიმართლე აღმოჩნდა.

მწერალმა თბილისში ვიზიტის დროს გადაღებული ფოტოებიც გაასაჯაროვა და დაასათაურა: „ეს მე ვარ ლიტერატურის მუზეუმში, სადაც ჩემთვის საჭირო მასალების ნახვის შემდეგ სეიფიდან რელიკვიები გამომიტანეს: ჰაჯი მურატის იარაღი, პუშკინის უბის წიგნაკის ყდა და ხელსახოცი, რომელიც ადგილობრივ ბანოვანს ლერმონტოვმა აჩუქა, ასევე, სამელნე, რომელიც გრიბოედოვმა ირანში გამგზავრებამდე უსახსოვრა ახალგაზრდა ცოლს.“

როგორც თბილისში ვიზიტისას მწერალმა განაცხადა, ის ახალ ნაწარმოებზე მუშაობს, რომლის მოქმედებაც საქართველოში ხდება.

ბორის აკუნინი რუსეთში დეტექტიური და ისტორიული ჟანრის რომანებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია. მას სხვადასხვა ფსევდონიმით 15-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული. ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და სამოქალაქო აქტივისტი გრიგოლ ჩხარტიშვილი საქართველოში, ზესტაფონში დაიბადა. ქართველი მამისა და ებრაელი დედის ოჯახმა ჩვენი სამშობლო მალე დატოვა და საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. ახლა კი უკვე ორი წელია, ბორის აკუნინი საფრანგეთში ცხოვრობს.

საქართველოში მისი ვიზიტი, საქმიანი ურთიერთობების გარდა, ერთგულ მკითხველთან შეხვედრასაც გულისხმობდა, სადაც მწერალმა და მისმა მკითხველმა კითხვა-პასუხის რეჟიმში ილიაუნში საინტერესო დისკუსია გამართეს. შეხვედრის დასასრულს ბორის აკუნინს ილიაუნის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, ვირებიც ოჯახდებიან?

– მხოლოდ ვირები, შვილო, მხოლოდ ვირები...

•••

ქალური მეგობრობა – უბრალოდ, თავდაუსხმელობის პაქტია.

•••

გემი იძირება. კაპიტანი მეზღვაურებს მიმართავს:

– რომელიმემ ლოცვა იცით?

– მე ვიცი, ბატონო კაპიტანო, – უპასუხა ერთ-ერთმა მეზღვაურმა.

– ჰოდა, შესანიშნავია, ილოცე, შვილო, გულმოდგინედ ილოცე. სწორედ ერთი მაშველი ჟილეტი არ გვყოფნის!

•••

ინგლისელი ლორდი დროზე ადრე დაბრუნდა სასახლეში და ხედავს, მისი მოსამსახურე დივანზეა წამოგორებული, კონიაკს წრუპავს და სიგარას აბოლებს.

– ეს რას ჰგავს, ბერიმორ? ჩემს დივანზე ხარ წამოგორებული, ჩემს კონიაკს წრუპავ, ჩემს სიგარას ეწევი, ბარემ ჩემი ცოლიც მოგეწვინა გვერდით!

– სამწუხაროდ, სერ, პოკერი ვითამაშეთ და თქვენს ცოლთან ჩახუტება მებაღემ მოიგო და არა მე.

•••

ორმა მეგობარმა გადაწყვიტა, ტყეში ეცხოვრათ. სახლი ააშენეს. ერთხელაც საკვები გამოელიათ, ერთმა თოფი აიღო და სანადიროდ წავიდა, მეორემ კი სახლის დალაგება დაიწყო. სანადიროდ წასული დათვს გადაეყარა, ერთი ესროლა, ააცილა, მეორე ესროლა, ააცილა და გამოიქცა, დათვი გამოეკიდა. კაცმა, ის იყო, სახლთან მიირბინა და კარი გამოაღო, რომ ფეხი დაუცდა და დაეცა, დათვი კი ინერციით შიგნით შევარდა. კაცი ფეხზე წამოიჭრა, კარი გარედან გადაკეტა და მეგობარს შესძახა:

– შენ ეგ დათვი გაატყავე, მე წავალ, იქნებ სხვა რამეც მოვინადირო.

•••

კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

– ჩემს წვნიანში ნაფოტი რატომ დაცურავს?

– იმიტომ, რომ მსუბუქია. აი, გუშინ ერთს ჭანჭიკი შეხვდა, მძიმე იყო და თეფშის ფსკერზე აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

20 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები ანგარიში

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის. წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



21 ოქტომბრიდან

მაიკლ პუნკე

გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ამერიკული გამანადგურებელი ვარდისფრად შეღებეს

ამერიკული გამანადგურებელი თვითმფრინავი ფ9ფ, რომელიც ვარდისფრადაა შეღებილი, მკერდის კიბოსთან ბრძოლის ერთთვიურის ფარგლებში, ავიამზიდ „ლეკსინგტონზე“ გამოფინეს, რომელიც ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ კორპუს-კრისტიში იმყოფება.

გამოფენა, რომელზეც ვარდისფერი გამანადგურებელია გამოფენილი, 31 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის დასრულების შემდეგ თვითმფრინავს თავისი ამჟამინდელი ნათელი ფერი არ შეუნარჩუნდება. ეს რომ შესაძლებელი გამხდარიყო, სპეციალური პროცედურა იქნა გამოყენებული: ემულსიურ საღებავზე დაიტანეს ჭურჭლის სარეცხი საშუალება. ამის წყალობით იქნა მიღწეული სწორედ შეღებვის ეს დროებითი ეფექტი.

როგორც ცნობილია, ავიამზიდი „ ლეკსინგტონი“ 1943 წელსაა აგებული. მან ეს სახელი იაპონელების მიერ 1942 წელს ჩაძირული ხომალდის პატივსაცემად მიიღო. აღსანიშნავია, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული ყველა საზღვაო ოპერაციაში, რომლებიც კი აშშ-მ მეორე მსოფლიო ომის დროს აწარმოა. იაპონელებმა ოთხჯერ გაავრცელეს ინფორმაცია მისი ჩაძირვის შესახებ და ამის გამო ხომალდს მეტსახელად „ცისფერი მოჩვენება“ შეარქვეს. ავიამზიდი 1991 წელს ჩამოწერეს, ხოლო 1992 წლიდან ის ტეხასის შტატის საკუთრებად იქცა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუზეუმად გადაკეთდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. აივანი, დერეფანი; 5. იტყვიან ცელქ, ცქვიტ ბავშვზე; 7. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი; 9. ვულკანი და ტბა აშშ-ში; 10. ჯამბაზი; 13. უკუსვლა, დაქვეითება; 14. ხისგან ან ლითონისგან სხვადასხვა ნაკეთობის მჩარხავი ოსტატი; 15. შლამის თევზი; 19. სასამართლო საქმის გარჩევა; 20. იაპონური ანბანის ერთ-ერთი გრაფიკული ფორმა; 21. ნიანგის სახეობა; 22. პატარა მფრინავი ცხოველი.

შვეულად: 1. ლომების ოჯახი; 2. ახლად დაყენებული, დაუდუღარი ღვინო; 3. გეოდეზიური ხელსაწყო; 4. სწრაფი ტემპით (მუს.); 6. სადაც მდინარე მიედინება; 8. გარეული ვირი; 11. წინასწარმეტყველი ქალიშვილი ძველბერძნულ ეპოსში; 12. ნუშის ლიქიორი; 16. ... სტრიპი; 17. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 18. უმცროსი მატროსი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ